ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 99 (11710)
ოთხშაბათი
27
აპრილი
1960 წ.

ფასი 20 კაპ.

დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა ქობულეთის რაიონის ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში.
სურათზე: წინა პლანზე — მოწინავე მკრეფავი იზოლდა დარსაველია ჩაის კრეფის დროს.

ფოტო ი. ნანიკაშვილისა.

ქობულეთელთა ძვირფასი თაოსნობა

ჩვენი მზიური რესპუბლიკის მშრომელები კანონიერად ამაყობენ თავიანთი მრავალდარგოვანი მზარდი სოციალისტური სოფლის მეურნეობით. გასული სამეურნეო წელი თვალსაჩინო წარმატებათა წელი იყო ჩაის მწვანე ფოთლის წარმოების გადიდების დარგშიც. საქართველოს სუბტროპიკული რაიონების მშრომელებმა ქვეყანას მისცეს 140.000 ტონაზე მეტი ჩაი, რაც 7.000 ტონით აღემატება გეგმით დასახულს. ეს იყო საქართველოს მშრომელთა დიდი გამარჯვება ჩაის ფრონტზე, რასაც მაღალი შეფასება მისცეს სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ თავიანთ მისალმებაში საქართველოს მშრომელებისადმი.

პარტიისა და მთავრობის მიერ საქართველოს მეჩაიეთა შრომის მაღალმა შეფასებამ უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობა გამოიწვია რესპუბლიკის მეჩაიეობის რაიონების მშრომელთა შორის. ამ მძლავრმა ენთუზიაზმმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ჩვენი მეჩაიეების მიერ შვიდწლედის მეორე წლისათვის — 1960 წლისათვის ახალ გადიდებულ ვალდებულებათა აღებაში. **ამ მხრივ შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს ქობულეთელმა მეჩაიეებმა. მათ იკისრეს 1960 წელს მოკრიფონ და დაამზადონ 18.210.000 კილოგრამი ფოთოლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.410.000 კილოგრამისა, ანუ 800.000 კილოგრამით მეტი გეგმასთან შედარებით.**

იკისრეს რა აღნიშნული სოციალისტური ვალდებულებანი, ქობულეთელმა მეჩაიეებმა საქართველოს მეჩაიეობის რაიონის კოლმეურნეებს, საბჭოთა მეურნეობების მუშებსა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტებს მიმართეს მოწოდებით **მიბაძონ მათს მაგალითს, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება რესპუბლიკაში მიმდინარე წელს ჩაის უხვი მოსავლისათვის, ნაკისრ სოციალისტურ ვალდებულებათა სასახელოდ შესრულებისათვის.**

ქობულეთელთა მიმართვამ უკვე გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მეჩაიეთა შორის. მახარაძის, ზუგდიდის, გალის, ცხაკაიას, წყალტუბოს, ტყიბულის და სხვა რაიონების მეჩაიეები **მხარს უჭერენ ქობულეთელ მეჩაიეთა ძვირფას თაოსნობას,** კისრულობენ გადიდებულ ვალდებულებებს და პირობას იძლევიან, რომ წელს სამშობლოს მისცემენ ხარისხოვანი ჩაის მეტ ნედლეულს, ვიდრე გეგმით არის გათვალისწინებული, და იმაზე მეტს, ვიდრე შარშან ჩაბარეს მრეწველობას. **ეს არის ჭეშმარიტად მაღალი პატრიოტიზმის გამოვლინება.**

იწყებენ რა ჩაის უხვი მოსავლისათვის ლაშქრობას, **მეჩაიეობის რაიონების მშრომელნი, მოვალენი არიან აქედანვე გააჩაღონ თავდადებული ბრძოლა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის, არ დასჯერდნენ მხოლოდ გეგმის შესრულებას, გამოავლინონ ახალი რეზერვები ჩაის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის.**

ადგილობრივმა ხელმძღვანელმა პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებმა ერთხელ კიდევ უნდა შეამოწმონ თვითეულ კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობასა და ჩაის ფაბრიკაში კრეფის სეზონისათვის მზადყოფნა, განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი შემჩნეულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. საქმეუხარობდ, ადგილებიდან მიღებული სიგნალები მოწმობენ, რომ მთელ რიგ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ჯერ კიდევ ყველა ბრიგადასა და აგრონგანყოფილებაში არ არის მოწყობილი თავშესაფარი ფარდულები, პლანტაციებამდე არ არის გაყვანილი სასმელი წყალი და კეთილმოწყობილი გზები, ახლა იწყებენ ფიქრს საბავშვო ბაგებისა და საბავშვო ბაღების მოწყობისათვის, წინასწარ არა აქვთ დაგეგმილი, სად, რომელი პლანტაციის მიდამოებში უნდა მოაწყონ საველე სასაუზმეები.

წელს ჩაის უხვი მოსავლისათვის შეჯიბრების ინიციატორები — ქობულეთელი მეჩაიეები 25 აპრილიდან უკვე შეუდგნენ ჩაის მწვანე ფოთლის შერჩევით კრეფას გაუსხლავ ნაკვეთებში. ასევე ცხაკაიას რაიონის ზოგიერთი კოლმეურნეობის მეჩაიეებიც გავიდნენ პლანტაციებში ჩაის საკრეფად. მოკრეფილია პირველი რამდენიმე ასეული კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი. **წინ კი მაისია — გადამწყვეტი თვე ჩაის ფოთლის კრეფის წლიური დავალების შესრულების საქმეში.**

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ახლავე უნდა იფიქრონ ჩაის კრეფაზე მომუშავე მშრომელთა შორის პარტიულ-პოლიტიკური და მასობრივ-კულტურული მუშაობის სანმუშოდ მოწყობაზე.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ჩაის მკრეფავთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაშლას. არ უნდა დარჩეს კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, აგროგანყოფილება, ბრიგადა, რგოლი და ცალკეული მეჩაიე, რომელიც ჩაბმული არ იყოს სოციალისტურ შეჯიბრებაში. არ უნდა დავუშვათ ფორმალიზმი შეჯიბრებაში.

მაშ ასე, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის ნიმდინარე წელს, ამხანაგო, მეჩაიეებო!

ჩვენი სიტყვა

ლაპარაკობენ ქობულეთელი მეჩაიეები

ჩაის პლანტაციაში მუშაობის ექვსი წლის გამოცდილება მაქვს. ჯერ კიდევ საშუალო სკოლის დასთავრებამდე დავიწყე ჩაის კრეფა. შარშან მოსავლელად მომაგრებულ 0,5 ჰექტარზე გეგმით უნდა მომეღო 3.800 კილოგრამი, ხოლო ვალდებულებით 6.000 კილოგრამი ჩაი.

ძალღონის დაუზოგავად შევუდექი შრომას და მივაღწიე იმას, რომ არა მარტო გეგმა, არამედ ვალდებულებაც გადაჭარბებით შემესრულებინა. მოვკრიფე 7.300 კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. ამ წარმატებისათვის კომუნისტური შრომის დამკვრელის საპატიო წოდება მომენიჭა.

ჩემი შრომის ამ მაღალმა შეფასებამ კიდევ უფრო აღმაფრთოვანა. ამიტომ გადავწყვიტე შვიდწლედის მეორე — 1960 წელს მოვკრიფო და მრეწველობას ჩავაბარო 7.500 კილოგრამი ჩაის ხარისხოვანი ფოთოლი და ამით მივაღწიო ჰექტარზე გადაყვანით 15 ტონა ფოთლის მიღებას.

ვეცდები არც ამას დავჯერდე. ჩემს ტოლ-ამხანაგებში ვიქნები მაგალითის მაჩვენებელი ჩაის ფოთლის უხვი მოსავლისათვის ბრძოლაში.

მარიამ ჩელებაძე,
სოფელ ქვედა კვირიკეს კოლმეურნეობის მეჩაიე, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

* * *

ვმუშაობ ხუცუბნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. ჩვენი არტელის სხვა მოწინავე ადამიანებთან ერთად ჩემი მცირე წვლილიც შემაქვს ჩაის ფოთლის წარმოების გადიდების საქმეში.

შარშან ჩვენმა კოლმეურნეობამ სამშობლოს მისცა 950 ტონა ჩაის ფოთოლი, ბევრად მეტი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული. სოციალისტური შრომის გმირმა ნოვატორმა ასმათ ყიფაველიძემ მოკრიფა 4.800 კილოგრამი, ხოლო საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ბესარიონ ბაჯელიძემ 5.800 კილოგრამი ხარისხოვანი ფოთოლი. პირადად მე 0,5 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან შარშან მოვკრიფე 5.000 კილოგრამი ფოთოლი, გეგმით კი 3.000 კილოგრამი უნდა მომეკრიფა.

მომდინარე წლისათვის ვალდებულება ვიკისრე იმავე ნაკვეთზე მოვკრიფო და მრეწველობას ჩავაბარო 6.500 კილოგრამი ჩაის მაღალხარისხოვანი ფოთოლი, რაც 1.500 კილოგრამით აღემატება შარშანდელს.

ჩემი სიტყვა ურყევია, ვალდებულებას პირნათლად გავანადგებ.

მერი გოგიტიძე,
სოციალისტური შრომის გმირი.

მ. ჩელებაძე. მ. გოგიტიძე.

ტყიბულელები კისრულობენ

ტყიბული. (ხაკ. კორ.). მეჩაიეები ეცნობიან ქობულეთელთა მიმართვას და ახალ გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

— ჩვენმა კოლმეურნეობამ, — თქვა ახალსოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დ. ქათამაძემ, — შარშან ჩაის ფოთლის კრეფის დავალება 145 პროცენტით შეასრულა. წელს გადავწყვიტეთ გეგმით გათვალისწინებული 96 ტონის ნაცვლად მოკრიფოთ 110 ტონა „მწვანე ოქრო“, საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ 4.000 კილოგრამი ჩაის ნედლეული.

ქობულეთელთა მიმართვის პასუხად სოფელ ზედა ჭეპის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა ვალდებულება იკისრეს საშუალოდ ჰექტარზე მიიღონ სულ მცირე 3.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი და საბჭოთა სახელმწიფოს მისცენ 245 ტონა ნედლეული ნაცვლად 225 ტონისა.

გუშინ ჩაის პლანტაციებში

დაიწყო ჩაის ფოთლის შერჩევითი კრეფა

ქობულეთი. (ტელეფონით). რაიონის მეჩაიეები წელს გამოვიდნენ მეტი ჩაისათვის ლაშქრობის ინიციატორებად. ცეცხლაურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მთელ რიგ ნაკვეთებში ფოთოლი შემოსულია საკრეფად.

მეურნეობის პირველი აგრორაიონის პირველ ბრიგადაში ჩაის ფოთლის შერჩევითს კრეფას შეუდგნენ. მოწინავე მეჩაიემ **იზოლდა დარსაველიამ** პირველ დღეს — 25 აპრილს მოკრიფა **25 კილოგრამი** პირველი ხარისხის ნედლეული და დღიური დავალება 200 პროცენტით გაანაღდა. იგი იბრძვის იმისათვის, რომ წელს მოკრიფოს სულ მცირე 4.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

ამავე ბრიგადაში ჩაის კრეფას შეუდგა **მარიამ ბერეჟნაია,** რომელმაც მოკრიფა **26 კილოგრამი.** მალე ჩაის ფოთლის შერჩევით კრეფა დაიწყება სხვა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ცხაკაია. (საკ. კორ.). მიუხედავად წვიმიანი ამინდისა, კარგად დაიწყო ჩაის ბუჩქების ვეგეტაცია. წამოვიდა ლორთქო დუყები. 25 აპრილს ჩაის ფოთლის შერჩევითს კრეფას რაიონში პირველი შეუდგნენ **სოფელ ხორშის კოლმეურნეობა „გამარჯვების“ წევრები და მოკრიფეს 100 კილოგრამზე** მეტი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი.

26 აპრილს წვიმდა. მაგრამ სოფელ ფოცხოს კიროვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის კრეფა არ შეუწყვეტიათ. კრეფას შეუდგა აგრეთვე სოფელ უშაფათის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობა. ჩაის ფაბრიკამ გადასამუშავებლად უკვე მიიღო პირველი ასობით კილოგრამი ჩაის ნედლეული.

გალი იწვევს ოჩამჩირეს

600 ტონა ჩაის ფოთოლი გეგმის გადამეტებით

გალი. (საკ. კორ.). შვიდწლედის პირველ წელს გალის რაიონის მეჩაიეებმა, — განაცხადა „კომუნისტის“ კორესპონდენტთან საუბარში პარტიის გალის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ხ. ტუფურიამ, სოციალისტურ შეჯიბრებაში შესანიშნავი წარმატებები მოიპოვეს: მოკრიფეს და სახელმწიფოს ჩააბარეს 11.043 ტონა ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 10.900 ტონისა.

ჩვენს მიერ შემუშავებული და მიღებული შვიდწლიანი გეგმით გათვალისწინებულია მეჩაიეობის შემდგომი მკვეთრი განვითარება. ამ გეგმის მიხედვით 1960 წელს უნდა მოვკრიფოთ 11.600 ტონა.

ამ დღეებში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გულდასმით ეცნობიან ქობულეთელთა მიმართვას და გადიდებულ ვალდებულებებს კისრულობენ.

გალელებმა გადაწყვიტეს:

წელს სამშობლოს მისცენ 12.200 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, ანუ გეგმის გადამეტებით 600 ტონა.

სოფელ ოქუმის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა პირობა დადეს წელს მოკრიფონ 800 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 70 ტონით აღემატება. ასევე გეგმის გადამეტებით 70 ტონა ჩაის ფოთლის მიღება იკისრეს სოფელ თაგლონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიეებმა.

აჩიგვარის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა მოკრიფოს 2.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი, რაც გეგმას 130 ტონით აღემატება, ხოლო სიდის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა გადაწყვიტა მოკრიფოს 1.300 ტონა ჩაის ფოთოლი, რაც 110 ტონით მეტია გეგმასთან შედარებით.

სოფელ ჭუბურხინჯის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეჩაიემ, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა, ლენინის ორდენსანმა ციალა ყოლბაიამ 0,5 ჰექტარი ფართობიდან 9.000 კილოგრამი ფოთლის მოკრეფა იკისრა.

გალელი მეჩაიეები ნაკისრი ვალდებულებათა წარმატებით შესრულებისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში იწვევენ ოჩამჩირელ მეჩაიეებს.

მის აღმატებულებას

გატონ ს. ე. ოლიმპიოს

ტოგოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრს

ლ ო მ ე

ტოგოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების გამო ნება მიბოძეთ ბატონო პრემიერ-მინისტრო, საბჭოთა ხალხის, სსრ კავშირის მთავრობისა და პირადად ჩემი სახელით უაღრესად გულწრფელად და მხურვალედ მოგილოცოთ თქვენ, ტოგოს მთავრობასა და ხალხს.

საბჭოთა ადამიანები ღრმა სიმპათიით და დიდი თანაგრძნობით ეკიდებიან აფრიკის ქვეყნების ხალხთა სამართლიან ბრძოლას კოლონიალიზმის წინააღმდეგ, თავიანთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, იმ უფლებისათვის, რომ თვითონ განაგონ თავიანთი ბედი. ამიტომ ჩვენ სულით და გულით მივესალმებით ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ტოგოს რესპუბლიკის გამოჩენას აფრიკის კონტინენტზე.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობა საქვეყნოდ აცხადებს, რომ ცნობს ტოგოს რესპუბლიკას როგორც დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოს და მზად არის დაამყაროს მასთან დიპლომატიური ურთიერთობა და გაცვალოს დიპლომატიური წარმომადგენლობანი.

საბჭოთა მთავრობა გამოთქვამს იმედს, რომ საბჭოთა კავშირსა და ტოგოს რესპუბლიკას შორის განვითარდება მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა ორივე ჩვენი ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხები ტოგოს ხალხს უსურვებენ ყოველგვარ წარმატებას დამოუკიდებელი, დემოკრატიული და აყვავებული სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

ნ. ს. ხრუშჩოვი,
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

1960 წლის 26 აპრილი

ნ. ს. ხრუშჩოვი—აზერბაიჯანის საპატიო მენავთობე

ბაქო, 26 აპრილი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს სტუმრად იყო საზღვაო ქალაქ „ნავთობის ქვების“ მენავთობეებთან. აქ, ბაქოდან ას კილომეტრზე, კასპიის წყალს ზემოთ აღმართულ ფოლადის ესტაკადებზე, მდებარეობს ნავთობის სარეწები, კეთილმოწყობილი მუშათა დაბები.

ნ. ს. ხრუშჩოვი გაეცნო ნავთობის ახალ ჭაბურღილთა გავლას, ნავთობის ამოღებას ფენებიდან, რომლებიც განლაგებულია ზღვის ფსკერის ქვეშ რამდენიმე ათას მეტრ სიღრმეზე, და დათვალიერა ესტაკადის მშენებლობა.

მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები გულითადად მიესალმნენ ძვირფას სტუმარს, რომელიც მეგობრულად ესაუბრა მათ.

საზღვაო სარეწების მენავთობეთა კულტურის სახლის წინ მოედანზე გაიმართა საზეიმო ცერემონია, რომელზეც გამოაქვეყნეს აზერბაიჯანის ნავთობისა და ქიმიური მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გაფართოებული პლენუმის გადაწყვეტილება ნ. ს. ხრუშჩოვისათვის „აზერბაიჯანის საპატიო მენავთობის“ წოდების მინიჭების შესახებ. დამსწრეთა ტაშის გრიალში სტუმარს გადაეცა საპატიო მენავთობის დიპლომი და მბურღავის კოსტიუმი. ნ. ს. ხრუშჩოვს მიართვეს სამახსოვრო საჩუქარი — საზღვაო საბურღი კოშკურის მაკეტი.

მრავალათასიანი მიტინგი ბაქოში

ბაქო, 26 აპრილი. (საკდესი). დღეს ნაშუადღევს ი. ბ. სტალინის სახელობის რესპუბლიკურ სტადიონზე გაიმართა მასობრივი მიტინგი, რომელშიც მონაწილეობდა რესპუბლიკის მშრომელთა დაახლოებით 50 ათასი წარმომადგენელი.

მიტინგზე იყვნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი, აზერბაიჯანის ხელმძღვანელები, მოძმე რესპუბლიკათა დელეგაციები.

შესავალი სიტყვა წარმოთქვა აზერბაიჯანის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ი. ახუნდოვმა.

შემდეგ გამოვიდნენ ბაქოს მუშათა, აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის მშრომელთა, ინტელიგენციის, ქალთა, ახალგაზრდობის წარმომადგენლები. მათ ილაპარაკეს თავიანთი რესპუბლიკის თვალსაჩინო გამარჯვებებზე ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში, ხუთვალე სალამი გადასცეს ძვირფას სტუმარს — ნ. ს. ხრუშჩოვს.

მიტინგზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ.

ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა მიულოცა მიტინგის მონაწილეებს აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის 40 წლისთავი და უსურვა რესპუბლიკას ახალი დიდი წარმატებანი.

უპატაკებენ სამშობლოს

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოებმა შეასრულეს ოთხი თვის გეგმა

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს საწარმოთა მშრომელებმა, რომლებიც ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავისა და მოახლოებული საპირველმაისო დღესასწაულის აღსანიშნავ შრომითს ვახტზე დგანან, ვადამდე, 25 აპრილისათვის შეასრულეს მთლიანი პროდუქციისა და ძირითად სახეობათა ნაწარმის გამოშვების ოთხი თვის გეგმა.

გეგმის გადაჭარბებით გამოშვებულია კოქსი, თუჯი, ფოლადი, ნაგლინი, მილები, ქვების მრეწველობის მოწყობილობა, ცემენტი, შალის ქსოვილი, ფეხსაცმელი, ყურძნის ღვინო, ჩაი. თვის ბოლომდე საწარმოები გამოუშვებენ ათობით მილიონი მანეთის ზეგეგმითს პროდუქციას.

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს მრეწველობის მთლიანმა პროდუქციამ 12 პროცენტით გადააჭარბა გასული წლის შესაბამის დონეს. შარშანდელთან შედარებით იმ საწარმოთა რიცხვი, რომლებიც ვერ ასრულებენ გეგმას, ერთისამად და მეტად შემცირდა.

რესპუბლიკაში ერთ-ერთმა პირველმა ვ. ი. ლენინის დაბადების დღისათვის დაამთავრა ოთხი თვის გეგმა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოს — ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელი ქარხნის კოლექტივმა.

წლის დამდეგიდან საქართველოს მრეწველობამ აითვისა ორი ტიპის სპეციალური სახარატო და მილდასამუშავებელი ჩარხებისა და დოლური ტიპის ავტომატების წარმოება მეტალურგიისათვის, ვაზის სამყნობი ნახევრად ავტომატების. ყლორტების გასაცლელი აპარატის, პორტატიული გაზის ქურების „თბილისის“, შიშველი, საგრაგნილე და მომინანქრული სადენების, ავტომტვირთავთა ელექტროაპარატურის, ავტოტრანსფორმატორების, სარეცხ მანქანათა მიკროძრავებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოება.

გადაჭარბებით შესრულებულია აგრეთვე სამრეწველო მშენებლობის გეგმა. (საკდესი).

პროპაგანდის გადამწყვეტი რგოლი

წარმატებით დავამთავროთ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში

კომუნისტურ პარტიას პოლიტიკური განათლება, მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი შესწავლა მთელი პროპაგანდისტული მუშაობის გადამწყვეტ რგოლად, მშრომელთა კომუნისტური აღზრდის ყველაზე ქმედით საშუალებად მიაჩნია.

ამჟამად პარტიული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა წარმატებით დაამთავრონ 1959-1960 სასწავლო წელი პოლიტიკური განათლების სისტემაში. პირველ რიგში საჭიროა განმაზოგადებელი, შემაჯამებელი გასაუბრების გულდასმით მომზადება და ორგანიზებულად ჩატარება. გასაუბრებას უნდა მიეძღვნას ორი-სამი მეცადინეობა წრეებსა და პოლიტსკოლებში და ერთი-ორი მეცადინეობა თეორიულ სემინარებში. გასაგებია, რომ გასაუბრებაზე გამოტანილ უნდა იქნას სასწავლო წლის განმავლობაში შესწავლილი საკითხებიდან ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი და აქტუალური. ამ საკითხების განხილვა ხელს შეუწყობს საპროგრამო მასალის უფრო ღრმად შეთვისებას. შემაჯამებელი მეცადინეობის მომზადებისა და ჩატარებისას სასარგებლოა მოეწყოს ექსკურსიები მუზეუმებში, გამოფენებზე, ღირსსახსოვარ ადგილებში, შვიდწლედის საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ზოგიერთი პარტიული კომიტეტის წინადადებაა სასწავლო წლის ბოლოს მოეწყოს ერთი ტიპის წრეებისა და სემინარების მსმენელთა საკალაკო, რაიონული, ჯგუფური თეორიული კონფერენციები. ასეთი წინადადებები მოწონების ღირსია. უმნიშვნელოვანესი საკითხების ერთობლივად განხილვა ხელს შეუწყობს თეორიულ დებულებათა უფრო ღრმად შეთვისებას კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.

თეორიული კონფერენციები აქტუალურ საკითხებზე გახდება ავრეთვე ინდივიდუალურ და ჯგუფურ შემაჯამებელ გასაუბრებასთან ერთად იმ კომუნისტების დამოუკიდებელი მარქსისტულ ლენინური სწავლების შედეგების განზოგადების უმნიშვნელოვანესი ფორმა, რომლებიც ინდივიდუალური გეგმებით იმალლებენ იდეურ-თეორიულ დონეს.

წარსული წლების გამოცდილების მიხედვით მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტების საერთო ნაკადებში და ფაკულტეტებზე რეკომენდებულია მოეწყოს გამოცდები წამყვან დისციპლინაში და ჩათვლები დანარჩენ საგნებში.

საერთოდ პოლიტიკურ სწავლებაში, განსაკუთრებით კი შემაჯამებელი მეცადინეობისა და გასაუბრების, თეორიული კონფერენციების, გამოცდებისა და ჩათვლების მომზადებისა და ჩატარების დროს დაუშვებელია ფორმალიზმი, სკოლარობა, დიდი მნიშვნელობა აქვს გფრთხილებას, რომ არ მომართავდნენ ცდებს მისცენ მსმენელებს „თავსმტვრევი“ კითხვები, არ ცდილობდნენ მაინცდამაინც ჩაიყენონ მსმენელი „ძნელ მდგომარეობაში“. გულისხმიერად უნდა ვეკიდოთ მსმენელთა აზრებს, მათთან ერთად ვპოულობდეთ სწორ პასუხს დაყენებულ კითხვებზე. ვასწავლიდეთ მათ ფაქტების დაკვირვებულ ანალიზს და დასკვნების გამოყვანას. მთავარია ხაზგასმით აღვნიშნავდეთ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების ქმედითს, შემოქმედებითს ხასიათს, ლენინიზმს განუყოფლობას მარქსიზმისაგან, ცხადვყოფდეთ ლენინური ეტაპს რევოლუციური მოძღვრების განვითარებაში, ლენინური იდეების გამარჯვებას, თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობას ჩვენი პარტიის მოღვაწეობაში. ამოცანა ის არის, რომ თვითეულმა მსმენელმა ღრმად შეიგნოს შეძენილი პოლიტიკური ცოდნის პრაქტიკული მნიშვნელობა, ისწავლოს მისი გამოყენება თავის ყოველდღიურ საქმიანობაში.

იბადება კითხვა: იმ წრეებსა და პოლიტსკოლებს რაღა ვუყოთ, რომლებსაც სასწავლო გეგმა არ შეუსრულებიათ?

ეს არ შეიძლება იყოს უნივერსალური რეცეპტი. საკითხის სწორად გადაჭრა შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ ზუსტად იქნება აღრიცხული თვითეული წრისა და სემინარის თავისებურებანი, მის მსმენელთა სურვილები. მაგრამ, როგორც წესი, იმ წრეებსა და სემინარებში, რომლებსაც სასწავლო გეგმები არ შეუსრულებიათ, უფრო მიზანშეწონილია მომავალი მეცადინეობა მიეძღვნას არა შემაჯამებელ გასაუბრებას, არამედ მორიგი თემების შესწავლას, რათა შესრულებულ იქნას სასწავლო გეგმა.

მაგალითისათვის ავიღოთ პარტიული ეკონომიკის საფუძვლითა შემსწავლელი მოკლევადიანი წრეები, რომლებიც ხუთი-ექვსი მეცადინეობისათვის არის ნავარაუდევი. ამ წრეებში მეცადინეობისათვის მიზნადულია ასეულ ათასობით რიგითი მუშა და კოლმეურნე. ამ წრეების უმრავლესობა შექმნილია უკვე პროპაგანდის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების გამოსვლის შემდეგ თებერვალ-მარტში. ცხადია, რომ ამ წრეებიდან ზოგიერთი, განსაკუთრებით სოფელ ადგილას, ვერ მოასწრებს საპროგრამო მასალის შესწავლის დამთავრებას სასწავლო წლის ბოლომდე. მაშ როგორ მოვიქცეთ? პასუხი აქ ასეთია: ამ წრეებში მეცადინეობა უნდა გაგრძელდეს სასწავლო გეგმის შესრულებამდე.

სასწავლო წლის წარმატებით დამთავრება მტკიცე საფუძველს უყრის პოლიტიკური განათლების შემდგომ გაუმჯობესებას 1960-1961 სასწავლო წელს. პარტიული ორგანოებისა და პარტორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ღრმა ანალიზი გაუკეთონ გასული სასწავლო წლის პოლიტიკური სწავლების შედეგებს, განაზოგადონ შეძენილი დადებითი გამოცდილება, გამოავლინონ არსებული ნაკლოვანებანი, გამოიტანონ გაკვეთილები დაშვებული შეცდომებიდან, რათა არ გაიმეორონ ისინი მომავალში.

კერძოდ, სასარგებლოა მოეწყოს კრებები წრეებისა და სემინარების მსმენელებისა, რომლებიც თეორიას ინდივიდუალური გეგმებით სწავლობენ. პროპაგანდისტთა საკალაკო და რაიონული თათბირები. სასწავლო წლის შედეგების და ახალ სასწავლო წელს კომუნისტებისა და უპარტიოების პოლიტიკური განათლების გაუმჯობესების ღონისძიებათა საკითხი მიზანშეწონილია განხილულ იქნას პარტიული ორგანიზაციების კრებებზე და პარტიული კომიტეტების სხდომებზე.

რას უნდა მიექცეს ამასთან განსაკუთრებული ყურადღება?

პოლიტიკური განათლების მთავარი მიზანი და ძირითადი აზრია კონკრეტული საწარმოო შედეგებით გამოხატული კომუნისტური აღმშენებლობა. ამ საქმეში დადებითი გამოცდილების ღრმა და ყოველმხრივ განზოგადებას, პოლიტიკურ განათლებაში ფორმალიზმის, აბსტრაქტულობის ელემენტების დაძლევას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭება.

ცხოვრებასთან პროპაგანდის კავშირის გაძლიერების შესახებ საერთო მოწოდებებიდან საჭიროა გადავიდეთ კონკრეტული რეკომენდაციების, იმ პრაქტიკული მეთოდური რჩევების გამომუშავებაზე, თუ როგორ უნდა ვახორციელებდეთ ამ კავშირს სინამდვილეში. თვითეული თემის შესწავლის დროს, ასეთი რეკომენდაციების შედგენისათვის უნდა მივიზიდოთ საუკეთესო პროპაგანდისტული ძალები, აგრეთვე პარტიული მუშაკები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა მასწავლებლები. ამ მუშაობამ ცენტრალური ადგილი უნდა დაიჭიროს პოლიტიკური განათლების სახლებისა და კაბინეტების, მეთოდური საბჭოებისა და ჯგუფების საქმიანობაში.

ცხოვრებასთან ორგანულ კავშირში პოლიტიკური განათლების წარმატებით განხორციელება შეუძლიათ მხოლოდ იმ პროპაგანდისტებს, რომლებიც თვითონ კარგად იცნობენ წარმოების კონკრეტულ საქმეებსა და გადაუდებელ საჭიროებებს, კოლეკტივების ცხოვრებასა და ინტერესებს, უნარი აქვთ გადაიყვანონ თეორიული დებულებანი აქტუალური პრაქტიკული ამოცანების ენაზე. პროპაგანდისტთა კადრების შერჩევამ, მომზადებამ და გადამზადებამ განსაკუთრებული ადგილი უნდა დაიკავოს პარტიული ორგანიზაციების მუშაობაში.

კერძოდ, მიზანშეწონილია მომავალი სასწავლო წლისათვის კოსხულტანტთა და ლექტორთა, წრეების, პოლიტსკოლებისა და თეორიული სემინარების ხელმძღვანელთა შემადგენლობის განსაზღვრისას უფრო ფართოდ ჩავბათ პროპაგანდისტულ საქმიანობაში ხელმძღვანელი პარტიული, სახმოთა და სამეურნეო მუშაკები, სახალხო მეურნეობის სპეციალისტები. უნდა ვეცდილობდეთ მივაღწიოთ იმას, რომ წრეებსა და სემინარებს, როგორც წესი, ხელმძღვანელობდნენ პროპაგანდისტები, რომლებიც მსმენელებთან ერთ კოლექტივში მუშაობენ. ამ მხრივ კარგი გამოცდილება არსებობს. მაგალითად, კალინინის ოლქის ნოვი ტორუოკის რაიონში კოლმეურნეობების თავმჯდომარეთა და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა უდიდესი უმრავლესობა ხელმძღვანელობს წრეებსა და სემინარებს.

საჭიროა მეტ ყურადღებას ვაქცევდეთ პროპაგანდისტების შეიარაღებას კონკრეტული ეკონომიური ცოდნით, მოწინავე გამოცდილებით, უფრო საფუძვლიანად ვაცნობდეთ მათ პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რესპუბლიკების, ოლქების, ქალაქების, რაიონების, საწარმოებისა და კოლმეურნეობების ცხოვრებას.

სავსებით სწორად იქცევიან მოსკოვის საქალაქო კომიტეტი, ლენინგრადის საოლქო კომიტეტი და ბევრი სხვა პარტიული კომიტეტი, რომლებიც უკვე დაიწყეს წრეებისა და სემინარების ხელმძღვანელთა მომზადება მომავალი სასწავლო წლისათვის, ცდილობენ თვითეულ პროპაგანდისტს ასწავლონ თეორიულ დებულებათა გადაცემა ცხოვრების აქტუალური მასალის მიხედვით, მშრომელთა ყოველდღიურ საქმეებთან და ამოცანებთან მჭიდრო კავშირში.

წარსულ წლებში პოლიტიკური სწავლების ერთ-ერთი ნაკლი ის იყო, რომ პარტიული ორგანიზაციები პარტიული განათლების სისტემის დაკომპლექტებისას ხშირად გამოდიოდნენ არა კომუნისტთა და უპარტიოთა იდეურ-თეორიული დონის მიზანდასახული ამაღლების ამოცანებიდან, მათი მოთხოვნილებებიდან და ინტერესებიდან, არამედ არსებული სახელმძღვანელოებიდან და სასწავლო დამხმარე წიგნებიდან. ეს მნიშვნელოვანწილად სასწავლო ლიტერატურის ნაკლებობით აიხსნებოდა.

ამჟამად მდგომარეობა ძირეულად შეიცვალა. ჩვენ ახლა იმდენი სხვადასხვა სახელმძღვანელო და სასწავლო დამხმარე წიგნი გვაქვს, რამდენიც არასოდეს არა გვქონია. ამჟამად გვაქვს სახელმძღვანელოები და დამხმარე სასწავლო წიგნები სკკპ ისტორიაში, მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, ვ. ი. ლენინის ბიოგრაფია, სასწავლო დამხმარე წიგნი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლებში, პოლიტიკური ეკონომიის ორი სახელმძღვანელო (მათ შორის ერთი პოპულარული), სასწავლო დამხმარე წიგნი პოლიტიკური სკოლებისათვის, სასწავლო დამხმარე წიგნები მრეწველობისა და ვაჭრობის კონკრეტულ ეკონომიკაში. გამოსაცემად მზადდება პოპულარული სახელმძღვანელო ფილოსოფიაში, სასწავლო დამხმარე წიგნები მშენებლობისა და სოფლის მეურნეობის კონკრეტულ ეკონომიკაში, წიგნები ესთეტიკის (შემოქმედებითი ინტელიგენციის თეორიული სემინარებისათვის) და კომუნისტური აღზრდის (მასწავლებელთა თეორიული სემინარებისათვის) საკითხებზე და სხვ. ახლა ყველა აუცილებელი პირობა გვაქვს პოლიტიკური განათლების ფორმების სწორი განსაზღვრისათვის.

საჭიროა მტკიცედ და თანმიმდევრულად ვახორციელებდეთ იმის კურსს, რომ წრეებსა და სემინარებში სწავლობდნენ ყველაზე აქტუალურ, აღმზრდელობითი მნიშვნელობის მქონე პრობლემატიკას.. მთავარი ყურადღება კვლავ უნდა მიექცეს ეკონომიური ცოდნის, განსაკუთრებით კონკრეტული ეკონომიკის პროპაგანდას, კონკრეტული ეკონომიკისა, რომელშიც ხელშესახებად ხორციელდება მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიის ერთიანობა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ განვამტკიცოთ და ყველა ღონისძიებით გავავრცელოთ გამოცდილება მუშებისა და კოლმეურნეებისათვის კონკრეტული ეკონომიკის საფუძვლების შემსწავლელი მასობრივი წრეების შექმნისა, რომლებიც შემოკლებული, პოპულარული პროგრამით მუშაობენ.

ისტორიულ-პარტიული განათლების ორგანიზაციაში არ შეიძლება დავუშვათ თვითდინება, ძირითადი ყურადღება უნდა მივაპყროთ პარტიის საქმიანობის შესწავლას დიდი სამამულო ომის წლებში, ომისწინა და ომისშემდგომ წლებში, განსაკუთრებით სკკპ XX ყრილობის შემდეგ. საჭიროა ყველა ღონისძიებით ვავითარებდეთ მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის შესწავლის იმ ფორმებს, რომლებმაც თავისი დანიშნულება გაამართლეს, მშრომელთა პრაქტიკულ ამოცანებთან, მათს პროფესიულ ინტერესებთან მჭიდრო კავშირში. მშრომელთა მრავალნაირი მოთხოვნილებებისა და ინტერესების უფრო ყოველმხრივი დაკმაყოფილების მიზნით კვლავაც უნდა ვეძებნდეთ მიმდინარე პოლიტიკის შემსწავლელ, საერთაშორისო მდგომარეობის, მსოფლიო კომუნისტური, მუშათა, დემოკრატიული და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის და სხვა საკითხების შემსწავლელ თეორიულ სემინარებსა და წრეებს.

პოლიტიკურ განათლებაში დიდი მნიშვნელობა აქვს თანმიმდევრულობას, მემყვიდრეობითობას. არ შეიძლება ნორმალურად ჩაითვალოს ერთი ადგილის ტკეპნა, ერთი და იმავე საკითხების მრავალი წლის განმავლობაში შესწავლა. პარტიული ორგანიზაციები უნდა დაეხმარონ კომუნისტებს და უპარტიოებს სწორად აირჩიონ პოლიტიკური სწავლების ფორმები, ამასთან, მხედველობაში იქონიონ უკვე შეძენილი ცოდნის გაღრმავება. არ შეიძლება წავახალისოთ ისინი, ვინც ცდილობს ეძებოს სწავლების „უფრო იოლი გზები“, რომლებიც შრომასა და მუყაითობას არ მოითხოვს, ვისაც სურს ცოდნის ძველ მარაგს დასჯერდეს.

იმასთან დაკავშირებით, რომ გაიზარდა მშრომელთა ფართო მასების მისწრაფება პოლიტიკური ცოდნისაკენ და რომ უფრო აქტიურად, ვიდრე ოდესმე წინათ, პარტიული განათლების სისტემაში ჩაბმული არიან უპარტიო მუშები და კოლმეურნეები, რომლებსაც ხშირად საჭირო ზოგადსაგანმანათლებლო და თეორიული მომზადება არა აქვთ, მაღლდება პოლიტსკოლების როგორც მარქსისტულ-ლენინური განათლების დაწესებითი საფეხურის როლი.

ამჟამად ყველა პირობაა იმისათვის, რომ გაფართოვდეს, იმ წრეებისა და სემინარების ქსელი, რომლებიც შეისწავლიან მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებს მისი შემადგენელი ყველა ნაწილის ორგანულ ერთიანობაში. პოლიტიკური ეკონომიის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის ისტორიის და სხვ. სისტემატური კურსებისა და ცალეული პრობლემების შესწავლა უფრო წარმატებითი და პროდუქტიული იქნება, თუ ამას წარეკმაჯარება მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლების კურსთან გაცნობა.

უფრო მტკიცედ და კონკრეტულად უნდა ვახორციელებდეთ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დასახულ ამოცანას — ნამდვილად გადავტანოთ სიმძიმის ცენტრი პოლიტიკურ თვითგანათლებაზე, და პირველ რიგში, დამოუკიდებელი სწავლების ორგანიზებულ, კოლექტიურ, სემინარულ ფორმებზე. საჭიროა, რომ წრეებში სწავლობდნენ მხოლოდ ისინი, ვისაც წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობისათვის საჭირო მომზადება არა აქვს. ამიტომ საჭიროა შევისწავლოთ წრეების შემადგენლობა და მათი მუშაობის ხასიათი, მოვეთათბიროთ პროპაგანდისტებსა და მსმენელებს, ახალი სასწავლო წლის დასაწყისიდან სემინარებად გარდავქმნათ ის წრეები, რომელთა მსმენელებს საკმაო მომზადება აქვთ. პრაქტიკა გვასწავლის, რომ წრეების სემინარებად გარდაქმნა, დამოუკიდებელი შესწავლისა და კოლექტიური განხილვის გაძლიერება დადებით გავლენას ახდენს პოლიტსწავლების შინაარსზე.

საჭიროა უურადღებით ვითვალისწინებდეთ მსმენელთა სურვილს, ზუსტად ვხელმძღვანელობდეთ ნებაყოფლობის პრინციპით, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ვუშვებდეთ ადმინისტრირებას პოლიტიკური სწავლების ფორმების განსაზღვრისას. მტკიცედ დაგმობის ღირსია იმის ცდები, რომ კომუნისტებს და უპარტიოებს თავს მოახვიონ პოლიტიკური განათლების ფორმები მათი სურვილებისა და ინტერესების წინააღმდეგ.

პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან გულდასმით მოიფიქრონ და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მონახონ იმ სამრეწველო საწარმოთა, მშენებლობათა, სატრანსპორტო ორგანიზაციათა მუშაკების პოლიტიკური სწავლების ორგანიზაციის ყველაზე მიზანშეწონილი ფორმები, რომელნიც დაკავშირებული არიან წარმოების ცვლობით მუშაობასთან.

პარტიული პროპაგანდის ქმედითობა მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია მის გაქნებაზე, მასობრიობაზე. გასაგებ ხასიათზე. პოლიტიკური განათლების სისტემის გავლენის სფეროს შემდგომი გაფართოებისათვის ზრუნვას უმნიშვნელოვანესი ადგილი უნდა ეჭიროს პარტიული ორგანიზაციების მთელ იმ მუშაობაში, რომელიც წარმოებს პარტიული განათლების სისტემაში მიმდინარე სასწავლო წლის დასამთავრებლად და ახალი სასწავლო წლისათვის მოსამზადებლად.

საჭიროა უფრო ფართოდ და გაბედულად ვაბამდეთ უპარტიო მშრომელებს პარტიული განათლების სკოლებში, სემინარებსა და წრეებში. ფართოდ ვავრცელებდეთ აქტიურ საგაგტაციო-პროპაგანდისტულ მუშაობაში მსმენელთა ჩაბმის გამოცდილებას.

პოლიტიკური განათლების ჩარჩოების გაფართოებას არ შეიძლება ვზღუდავდეთ დამატებითი წრეების, პოლიტსკოლებისა და სემინარების შექმნით. საჭიროა ვავითარებდეთ და სრულვყოფდეთ პოლიტიკური განათლების ისეთ მასობრივ ფორმებს, რომლებმაც პრაქტიკაში მთლიანად გაამართლეს თავიანთი დანიშნულება, როგორიც არის ლექციები, მოხსენებები, თეორიული კონფერენციები, დისკუსიები, ტექნიკური პროგრესის უნივერსიტეტები და კლუბები, თემატური საღამოები, კითხვა-პასუხის საღამოები და სხვ. პარტიული განათლების სისტემაში სასწავლო წლის დამთავრება უნდა იწვევდეს მასობრივი პროპაგანდის ყველა ფორმის არა შეკვეცას, არამედ აქტივიზაციას.

მარქსიზმ-ლენინიზმის პროპაგანდა გულითადად ხასიათს უნდა ატარებდეს, მასწავლებელ და წარმატაცი, მშრომელთათვის მახლობელი და გასაგები იყოს. თვითეული საბჭოთა ადამიანის გონებასა და გულს სწვდებოდეს. ახალი სასწავლო წლისათვის მზადებისას მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ პროპაგანდისტთა მეთოდურ მომზადებას, ყოველდღიურად ვზრუნავდეთ მათი ოსტატობის ამაღლებისათვის. პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ამოცანაა ენერგიულად ეხმარებოდნენ პარტიულ ორგანიზაციებს იმაში, რომ წარმატებით დაამთავრონ სასწავლო წელი პარტიული განათლების სისტემაში.

(„პრავდა“, 25. IV).

ქართულ ფოლადს ფეუსრულდა ათი წელი

1950 წლის 1 აპრილს რუსეთიდან დაბრუნებულ ქართველ ახალგაზრდა მეფოლადეთა უმრავლესობა რუსთავში ვიმყოფებოდით. ვეცნობოდით ერთმანეთს, ვემზადებოდით პირველი ქართული ფოლადის გამოსადნობად.

ერთნი საკაზმე ეზოს ელექტრომაგნიტურ ამწეს ამოწმებდნენ, მეორენი — ფოლადის ჩამოსასხმელ უზარმაზარ მანქანას. ლენტონსაყიდაშვილი ამ გიგანტის ყველა დეტალს თავისი ხელით სინჯავდა. მას დიდი საქმე ჰქონდა დაკისრებული — უნდა ჩამოესხა პირველი ქართული ფოლადი. მოუსვენარი ვალერიკ მიქაცა ხან მარჯვნივ, ხან მარცხნივ დაეროლუბდა ღუმელების ჩამტვირთავ მანქანას, ხელს აჩვევდა. მოსვენება არ ჰქონდა ელექტრიკოს შოთა ანთელიძეს, მას ხან ერთ, ხან მეორე უბანზე ეძახდნენ.

...ღუმელი თითქმის აშენებულია. ათობით მეტრი სიმაღლის სამაიარო მილის ზგერით ამოშენებაც დამთავრდა. ღუმელში ცეცხლი დავანთეთ, დავიწყეთ მისი „გაცხობა“ — გახურება შეშით. ღუმელის სათანადო დონემდე გათბობის შემდეგ საწვავად ძიეაწოდეთ მაზუთი.

ფოლადი რომ გამოგვედნო, საჭირო იყო ღუმელის ქვედის შედუღება. ეს რთული საქმეა, და გამოცდილ ოსტატს მოითხოვდა. 15 აპრილს რუსთავში ჩამოვიდა რუსი ოსტატი ილია მაქსიმესძე ცარიოვი, რომლის ხელმძღვანელობითაც ქვედის შედუღების რთული, რვადღიანი პროცესი წარმატებით დამთავრდა. ღუმელი მზად იყო ფოლადის გამოსადნობად. ყველა ჩვენგანი მოუთმენლად მოველოდით ამ წუთებს, და განა მარტო ჩვენ, მთელი რესპუბლიკა ელოდა, როდის გამოვადნობდით პირველ ქართულ ფოლადს. და ი 1950 წლის 27 აპრილს დნობა. დაიწყო...

თორმეტი საათის შემდეგ საამქროში გავლა აღარ ხერხდებოდა, საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოვიდნენ დელეგაციები.

დადგა ღუმელიდან ფოლადის გაშვების დრო. გაისმა ოსტატ ეევგენი ეორონკოვის ბრძანება:

— გაუშვით ფოლადი.

16 საათსა და 30 წუთზე მარტენის ღუმელის ხვრელიდან ღარზე გამოჩნდა პირველი ქართული ფოლადის ჩანჩქერი და ღელვით ჩაუშვა უზარმაზარ ცოცხეში.

ეს დღე ჩემთვის დაუვიწყარია. მე წილად მხვდა ბედნიერება გამომეფნო პირველი ქართული ფოლადი. ამ საპატარა საქმეში მონაწილეობდნენ აგრეთვე ახლა ცნობილი მეტალურგები ამირან ფანცულაია, მიხეილ სპანდარაშვილი, ვაჟა გიგიბერია, ვალერიან ჭაბაშვილი.

ყველა სიხარულით უცქერდა, როგორ ივსებოდა ცოცხეი. ჩემთან მოვიდა მოხუცი კოლმეურნე. მან მთხოვა ლუჩი სათვალე, რათა უფრო ნათლად დაენახა ღუმელიდან მომდინარე ფოლადი. იდგა და გაკვირვებული უყურებდა, როგორ ემვებოდა ცეცხლოვანი ლავა უზარმაზარ ცოცხეში.

— მოგწონთ? — შეეკითხე მოხუცს.

— ლამაზია, ძალიან ლამაზი სანახაობაა, მაგრამ ცოტა საშიშიც არის, — გამოტყდა იგი.

მე გამეცინა და ვუპასუხე: ძია კაცო, პირველად რომ ვნახე, ცოტა მეც შემეშინდა, მაგრამ ახლა უამისოდ ცხოვრება ვერც კი წარმომიდგენია.

ასეა ზელმა განვლო მას შემდეგ. ჩვენც დავეაქკაცდით, შრომით და სწავლით გავიმდიდრეთ მეფოლადის სპეციალი ხელობა. წარსულს თუ გადავხედავთ, შეგვიძლია ვიამაყოთ. 1950 წელს სულ რამდენიმე ათეული ათასი ტონა ფოლადი გამოვადნეთ. შარშან კი ფოლადის გამოდნობა მრავალჯერ გაიდიდა. სამშობლოს მივეცით მეტი ფოლადი, ვიდრე მთელმა საბჭოთა რუსეთმა გამოადნო პირველ წლებში. დახელოვნებამ შესაძლებლობა მოგვცა დაახლოებით 2 საათით შეგვემცირებინა დნობის ხანგრძლივობა. 40-50 ტონით გაიზარდა ხადნობის წონა, ფოლადის დნობის ხანგრძლივობის მხრივ მიღწეულია საერეკორდო მაჩვენებლები ამავე ტიპის ღუმელებისათვის. მერვე ღუმელის მეფოლადემ სერგო ინასარიძემ სრულწონიანი მრავალი ათეული ტონის მოცულობის ნადნობი 5 საათსა და 30 წუთში მიიღო. საგრძნობლად გაუმჯობესებული ფოლადის ხარისხი.

მარტენის № 1 ღუმელმა — პირველი ქართული ფოლადის აკვანმა თავისი არსებობის მანძილზე ათეულ ათასობით ზეგეგმითი ფოლადი მისცა სამშობლოს. მარტო 1960 წელს ამ ღუმელზე მომუშავე მეფოლადეებმა ამირან ფანცულაიამ, გრიგოლ ბერეკაშვილმა, ილარიონ ტაბატაძემ, შოთა ცეკვაშვილმა უკვე გამოადნეს ათასობით ტონა ზეგეგმითი ფოლადი, ქართული ფოლადი რუსთავის მარკით იგზავნება კომუნიზმის დიად მშენებლობებზე, აგრეთვე ევროპის, აზიისა და სამხრეთ ამერიკის მრავალ ქვეყანაში.

ფოლადსადნობი საამქრო არა მარტო ფოლადის, არამედ კადრების აღზრდისა და წრთობის სამეცნიერო არის. ჩვენს საამქროში გაიზარდა წარმოების მრავალი მოწინავე, რომლებიც ამჟამად ხელმძღვანელ სამუშაოებზე მუშაობენ.

ასეთი წარმატებებით ხვდება ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს კოლექტივი. პირველი ქართული ფოლადის დაბადების 10 წლისთავს და მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს — პირველ მაისს.

მაგრამ ეს წარმატებები არ გვაკმაყოფილებს. ვეცდებით კიდევ უკეთესი მაჩვენებლებით შევხვდეთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დაბადების 40 წლისთავს.

შ. კუხალეიშვილი,
ამიერკავკასიის ი. ბ. სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის ფოლადსადნობი საამქროს ცვლის უფროსი.

* * *

სურათზე: შ. კუხალეიშვილი.

4 თვის გეგმა—ვადამდე

ქუთაისი. (საკ. კორ.). ფართოდ გაშალეს რა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის მეორე წლის საწარმოო პროგრამის ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებისათვის, ქუთაისის მშრომელები შესანიშნავი შრომითი საჩუქრით ხვდებიან პირველ მაისს, მათ ვადამდე — 25 აპრილისათვის შეასრულეს საერთო პროდუქციის გამოშვების 4 თვის გეგმა.

ქალაქის მრეწველობამ სამშობლოს გეგმის გადამეტებით მისცა საშახტო ელმავლები, არტეზიული წყალსატყემბავები, ფეხსაცმელი, სამკერვალო ნაწარმი, შალის ქოთლები, კონსერვები, მინის ტარა, საკონდიტრო ნაწარმი და ბევრი სხვა პროდუქცია.

მოწინავე საწარმოთა შორის, რომლებმაც ვადამდე შეასრულეს 4 თვის დავალება, არიან ლენინის სახელობის მაუდის ფაბრიკა, № 8 სამკერვალო ფაბრიკა, ტყავ-ფეხსაცმლის კომბინატი, ელექტრომექანიკური ქარხანა, ბარიტის მაღაროთა სამმართველო, ქიმიური, მინის ტარისა და საკონსერვო ქარხნები.

პირველ მაისამდე ქუთაისის მრეწველობა გეგმის გადამეტებით გამოუშვებს რამდენიმე ათეული მილიონი მანეთის სხვადასხვა პროდუქციას.

კვალიფიკაციის ამაღლება ექიმსაც სჭირდება

ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობას, რომელიც ხელს უწყობს სოფლისა და რაიონის მოსახლეობის კარგ სამედიცინო მომსახურებას, წარმოადგენს ექიმების კვალიფიკაციის ამაღლება.

უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი სოფლის ექიმის მომზადების დონე არ არის დამაკმაყოფილებელი. ამის შედეგად ადგილი აქვს დაგვიანებულ, ზოგჯერ კი არასწორ დიაგნოსტიკას. ეს განსაკუთრებით სავალალოა იმ შემთხვევაში, როდესაც ავადმყოფობის შედეგი დამოკიდებულია ზუსტ და დროულ გამოკვნობასა და სასწრაფო სამედიცინო დახმარებაზე. მხედველობაში მაქვს მწვავე ქირურგიული დაავადებები. დიფტერია, ქუნთრუშა, ავთვისებიანი სიმსივნეები, ტუბერკულოზი და სხვ.

ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლების საკითხებზე მუშაობს თბილისის ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტი, მაგრამ, ფართო სამედიცინო საზოგადოების მხარდაჭერა თუ არ ექნა, იგი ვერ შეძლებს ამ დიდმნიშვნელოვანი საკითხის მთლიანად გადაჭრას.

ამჟამად ინსტიტუტი აწარმოებს ექიმების სპეციალიზაციისა და კვალიფიკაციის ამაღლებას წარმოებისაგან მოწყვეტით. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის გარემოება, რომ ზოგჯერ რაიონის ექიმები არ ამჟღავნებენ სურვილს მიატოვონ სამუშაო ადგილი და წავიდნენ კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

თუ შევქმნით ისეთ პირობებს, როდესაც ექიმები შეძლებენ ადგილებზე მომზადებას და კლინიკაში იქნებიან განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაშინ მსურველების რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება. ამრიგად შესაძლებელი გახდება კვალიფიკაციის ამაღლება ექიმების დიდი რაოდენობისათვის.

ამ მიზნით ექიმთა დახელოვნების ინსტიტუტში, გარდა გეგმით გათვალისწინებული ციკლისა, უნდა შეიქმნას დაუსწრებელი ციკლი ექვსი თვის ხანგრძლივობით.

ამ პერიოდის ოთხ თვეში მსმენელები კურსს გაივლიან ადგილებზე, სადაც მათ გაეგზავნებათ ლექციები და დავალებები, ხოლო ორი თვით გამოძახებული იქნებიან თბილისში სემინარული მეცადინეობისათვის, კლინიკაში მუშაობისა და კონსულტაციებისათვის.

სოფლის ექიმების დახელოვნებისა და კვალიფიკაციის ამაღლების საკითხი შეიძლება აგრეთვე გადაიჭრას დაუსწრებელი ორდინატურის გახსნით. სოფლის ექიმი, რომელიც ორი წლით ჩარიცხული იქნება ასეთ ორდინატურაში, შეასრულებს კლინიკის ხელმძღვანელის დავალებას და 6 თვეში ერთხელ ერთი თვით მივა კლინიკაში გამოცდების ჩასაბარებლად და პრაქტიკული დახელოვნებისათვის.

ვფიქრობთ, რომ რაიონის ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლება სხვა გზებითაც შეიძლება. სამედიცინო და დახელოვნების ინსტიტუტების კლინიკებს შეუძლიათ აიღონ შეფობა რაიონულ საავადმყოფოებზე. კლინიკის კვალიფიკაციური თანამშრომლები რამდენიმე თვით უნდა გიგზავნონ რაიონში სამუშაოდ, ხოლო რაიონის ექიმები გამოწვეულ იქნან ამავე ვადით ინსტიტუტში.

ასეთი მუშაობის პირველმა ცდამ გაამართლა თავისი მიზანი. შარშან სექტემბერში ინსტიტუტმა თეთრი წყაროს საავადმყოფოს შეფობა იკისრა. საავადმყოფოს ქირურგი თაგბერიძე მოწვეულ იქნა კლინიკაში 6 თვით, ხოლო რაიონში მის მაგივრად სამ-სამი თვით გაიგზავნა ორი ასისტენტი: ბ. კაპანაძე და ლ. შონია. ექ. თაგბერიძეს საშუალება მიეცა აემაღლებინა თავისი კვალიფიკაცია და ამავე დროს შეესრულებ

საერთაშორისო ცხოვრება

დეკენელი, ცნობელი, ეიმოსილვა

მთელი მსოფლიო მადლობელია საბჭოთა ხალხის — წერს გაზეთი „საუთ ალ-აჰრარი“.

სამხრეთ კორეა გოგოქროგს...

კუბა მხარს უჭერს რევოლუციას

იგადეგა აფრიკის ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო

საბჭოთა ქავშირის მთავრობის დელეგაცია ტოგოში ჩავიდა

ლომე, 26 აპრილი. (საკდესი). გუშინ ტოგოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის ჭამოცხადების აღსანიშნავ ზეიმში მონაწილეობის მისაღებად ლომეში ჩამოვიდა სსრ კავშირის მთავრობის დელეგაცია.

დელეგაციის შემადგენლობაში არიან — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე და ტაჯიკეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. რ. რახმატოვი (დელეგაციის მეთაური), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ს. კ. რომანოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აფრიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ა. ა. შეედოვი.

ჩვენი ეპოქის დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

ბაღდადი, 21 აპრილი. (საკდესი). უმაღლესი დონის მომავალი თათბირისადმი მიძღვნილ სტატიაში ყოველკვირეული გაზეთი „ალ-სბატი“ წერს: „სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს მიაჩნიათ, რომ ეს დიდმნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენა პრაქტიკულად ასახავს მათს მისწრაფებას მშვიდობისადმი, აგრეთვე მიაჩნიათ ომისა და იმპერიალიზმის ძალების ახალ დამარცხებად. ისინი მოელიან, რომ თათბირის მონაწილენი გამონახავენ იმის გზებს, რომ საერთაშორისო პრობლემები მშვიდობის სულისკვეთებით გადაჭრან და განამტკიცონ ხალხთა მეგობრული ურთიერთობა“.

სტატიაში ხაზგასმულია, რომ იმ პრობლემებში, რომლებიც უნდა გადაჭრან თათბირის მონაწილეებმა, ყველაზე დიდმნიშვნელოვანია „სრული და საყოველთაო განიარაღების და ატომური იარაღის აკრძალვის მოთხოვნა, რომელიც საბჭოთა თავმჯდომარემ წამოაყენა“.

გაზეთი „საუთ ალ-აჰრარი“ თავის მხრივ აღნიშნავს, რომ თათბირის მონაწილეთა შორის შეთანხმების მიღწევის კარგი საფუძველია საბჭოთა წინადადებები, რომლებიც ჩამოაყალიბა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა, როცა იგი ამერიკაში იყო, აგრეთვე მაგალითი საბჭოთა კავშირისა, რომელმაც კვლავ მოახდინა თავისი შეიარაღებული ძალების ცალმხრივი მნიშვნელოვანი შემცირება. „მთელი მსოფლიოს ადამიანები დიდი მადლობელი არიან საბჭოთა კავშირისა ასეთი პოლიტიკისთვის, — ნათქვამია სტატიაში, — რადგან სსრ კავშირის ეს მოქმედება მოწმობს მის მშვიდობისმოყვარეობას და მტკიცე გადაწყვეტილებას დაიცვას საერთაშორისო დაძაბულობის შენელების საქმე“.

დამთავრდა დ. ეიზენჰაუერისა და შ. დე გოლის თათბირები

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). გუშინ ვაშინგტონში გაიმართა პრეზიდენტ დ. ეიზენჰაუერისა და პრეზიდენტ დე გოლის სამოლო შეხვედრა, რომლის დამთავრების შემდეგ გამოქვეყნდა მოკლე კომუნიკე.

კომუნიკეში ნათქვამია:

„შეერთებული შტატების პრეზიდენტმა და საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტმა საუბრების სერია გამართეს 22 აპრილიდან 25 აპრილამდე გენერალ დე გოლის ვიზიტთან დაკავშირებით. შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა, საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა და ორივე ქვეყნის ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს ამ საუბრებში.

აზრთა გაზიარებამ საშუალება მისცა მათ უფრო ზუსტად განესაზღვრათ პოზიციები, რომლებსაც ისინი დაიკავებენ უმაღლესი დონის მომავალ თათბირზე იმ საკითხთა შესახებ, რომლებიც იქ აღიძრება. ორივე პრეზიდენტის აზრით ამ თათბირის ამოცანაა მიაღწიონ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას“.

პეკინი. 25 აპრილი. (საკდესი). სინხუას საგენტომ გადასცა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერის ჯოუ ენ-ლაისა და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის ჯავაჰარლალ ნერუს ერთობლივი კომუნიკეს შემდეგი ტექსტი:

1. ინდოეთის პრემიერ-მინისტრ შრი ჯავაჰარლალ ნერუს მოწვევით მისი აღმატებულება ბ-ნი ჯოუ ენ-ლაი — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი — 19 აპრილს ჩამოვიდა დელში სასაზღვრო რაიონების შესახებ ზოგიერთი უთანხმოების განსახილველად, რომლებიც წარმოიშვა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობასა და ინდოეთის მთავრობას შორის. მის აღმატებულებას ბ-ნ ჯოუ ენ-ლაის ახლდნენ მინისტრებულება მარშალი ჩენ ი—ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერის მოადგილე, მისი აღმატებულება ბ-ნი ჯან ხან-ფუ — ჩინეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე და ჩინეთის მთავრობის სხვა ოფიციალური წარმომადგენლები. მისს აღმატებულებამ პრემიერმა და მისმა თანმხლებმა პირებმა თავიანთი ვიზიტი ინდოეთში დაამთავრეს 26 აპრილს დილით.

2. ორივე პრემიერ-მინისტრს ჰქონდა რამდენიმე ხანგრძლივი, გულახდილი და მეგობრული საუბარი. მათ აღმატებულებებს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერსა და პრემიერის მოადგილეს ხანგრძლივი საუბრები ჰქონდათ აგრეთვე ინდოეთის პრეზიდენტთან, ვიცე-პრეზიდენტთან და მთავრობის ზოგიერთ უფროს მინისტრთან.

3. პრემიერ-მინისტრებმა სავსებით განმარტეს თავიანთი შეხედულებანი პრობლემებზე, რომლებიც სასაზღვრო რაიონებს ეხება. ამას მოჰყვა ორი მთავრობის შეხედულებათა უკეთესი გაგება, მაგრამ საუბრებს არ მოჰყოლია წამოჭრილი უთანხმოების მოწესრიგება. ორივე პრემიერ-მინისტრი იმ აზრისაა, რომ ორივე მხარის წარმომადგენლებმა უნდა განაგრძონ შემდგომი შესწავლა ფაქტიური მასალისა, რომელიც ორივე მთავრობის განკარგულებაშია.

4. ამიტომ ორივე პრემიერ-მინისტრმა გადაწყვიტა, რომ ორივე მთავრობის წარმომადგენლნი უნდა შეხვდნენ ერთმანეთს და შეისწავლონ, შეამოწმონ და ანალიზი გაუკეთონ ყველა ისტორიულ დოკუმენტს, ჩანაწერს, ანგარიშებს, რუკებსა და სხვა მასალებს, რომლებსაც კავშირი აქვთ საზღვრის საკითხთან და რომლებზეც თვითეული მხარე ამყარებს თავის პოზიციას, და შეადგინონ მოხსენება ორივე მთავრობისათვის წარსადგენად. ამ მოხსენებაში ჩამოთვლილი უნდა იყოს ის პუნქტები, რომლებზეც არსებობს თანხმობა, და ის პუნქტები, რომლებზეც არის უთანხმობა ან რომლებიც უფრო სრულად უნდა იქნას შესწავლილი და განმარტებული. ეს მოხსენება სასარგებლო უნდა აღმოჩნდეს ორი მთავრობის მიერ ამ პრობლემების შემდგომი განხილვისათვის.

5. შემდეგ გადაწყდა, რომ ეს ოფიციალური პირები უნდა შეიკრიბონ 1960 წლის ივნისიდან სექტემბრამდე რიგრიგობით ორივე ქვეყნის დედაქალაქებში. პირველი შეხვედრა უნდა მოხდეს პეკინში, და ოფიციალურმა პირებმა ორივე მთავრობას უნდა წარუდგინონ მოხსენება 1960 წლის სექტემბრის დამლევს. ფაქტიური მასალის შემდგომი შესწავლის პერიოდში ორივე მხარე უნდა ეცადოს თავიდან აიცილოს უთანხმოება და შეტაკებანი სასაზღვრო რაიონებში.

6. ორივე პრემიერ-მინისტრმა ისარგებლა შეხვედრით, რათა განეხილათ ზოგიერთი სხვა დიდმნიშვნელოვანი საერთაშორისო პრობლემა. ორივე პრემიერ-მინისტრი მიესალმება მთავრობათა მეთაურების მომავალ თათბირს პარიზში და გამოთქვამს იმედს, რომ ეს თათბირი ხელს შეუწყობს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, ატომგულის იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვასა და განიარაღებას.

დელი, 1960 წლის 25 აპრილი.

ჯოუ ენ-ლაისა და ნერუს ერთობლივი კომუნიკე

ტელეგრაფი გვაცყობინებს

● **ლონდონი**, 21 აპრილი. (საკდესი). დეპეშათა საგენტოები იუწყებიან, რომ მოეწყო მთელი რიგი თავდასხმები პარტია კვიპროსის დემოკრატიული კავშირის ორგანო გაზეთ „ეთნიკოზე“, ეს პარტია მხარს უჭერს ი. კლერიდესს, რომელიც გასული წლის არჩევნებში კვიპროსის ახლანდელი პრეზიდენტის მაკარიოსის წინააღმდეგ გამოდიოდა.

გაზეთის წარმომადგენლებმა რეიტერის საგენტოს კორესპონდენტს განუცხადეს, რომ 24 აპრილს 15 შეიარაღებული ნიღბიანი კაცი შეიჭრა სტამბაში და დაიწყო გაზეთების მოსპობა. უფრო გვიან, რამდენიმე თავდასხმელი დაესხა ავტოფურგონებს, რომლებსაც გაზეთები მიჰქონდა და დაწვა. გაზეთის რედაქტორი ა. ფარმასიდისი გაიტაცეს.

როგორც საგენტოს კორესპონდენტმა შეიტყო, თავდასხმების მიზეზი ყოფილა გაზეთში მოთავსებული სტატია კვიპროსის ცნობილი მოღვაწის გრივასისა, რომელმაც განაცხადა, რომ მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისს სამხედრო ბაზებისათვის გადაეცეს კუნძულის 36 კვადრატულ მილზე მეტი ტერიტორია. როგორც ცნობილია, პრეზიდენტმა მაკარიოსმა თანხმობა განაცხადა, რომ ინგლისს მიეცეს 93 კვადრატული მილი ფართობი.

● **ლონდონი**, 25 აპრილი. (საკდესი). როგორც რეიტერის საგენტოს კორესპონდენტი თეირანიდან იუწყება, დაზუსტებული ცნობებით ქალაქ ლარში (სადაც დაახლოებით 17.000 მცხოვრებია) მომხდარი მიწისძვრის შედეგად დაღუპა დაახლოებით 3.000 და დაშავდა 3.000 კაცი. ქალაქი ძლიერ დაინგრა.

● **პეკინი**, 26 აპრილი. სინხუას საგენტო გადმოგვცემს: როგორც გაზეთი „დენპენ დიუ კამბოჯი“ იუწყება, 12 აპრილს ტაილანდის შეიარაღებული პერსონალი შეიჭრა კამბოჯის გადმოგვცემს: როგორც გაზეთი „დენპენ დიუ კამბოჯი“ იუწყება, 12 აპრილს ტაილანდის შეიარაღებული პერსონალი შეიჭრა კამბოჯის ტერიტორიაზე 100 მეტრამდე სიღრმეზე პუნქტში, რომელიც ერთ კილომეტრზეა პოიპეტის ჩრდილოეთით და სროლა აუტეხა მშვიდობიან მცხოვრებთ. 5 კაცი დაჭრილია.

ამერიკის ახალი კანონპროექტი

ნიუ-იორკი, 25 აპრილი. (საკდესი). კომენტარს უკეთებს რა კონგრესის მიერ მოწონებულ კანონპროექტს „სამოქალაქო უფლებათა“ შესახებ, გაზეთი „ნიუ-იორკ პოსტი“ სარედაქციო სტატიაში „ტყუილი ელის ხელის მოწერას“ წერს, რომ „1960 წლის კანონპროექტი სამოქალაქო უფლებათა შესახებ, რომელიც ახლა პრეზიდენტის ხელის მოწერას ელის, „მტკნარი ტყუილია“. კანონპროექტს სამოქალაქო უფლებათა შესახებ უნდა უზრუნველეყო ზანგი მოსახლეობისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, მაგრამ არსებითად არაეფექტური გარანტია არ მიუცია ზანგებისათვის.

ᲛᲝᲣᲕᲘᲓᲝᲑᲐ— ᲐᲖᲘᲐᲡ!

ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲝᲜᲐᲚᲗᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲓᲘᲕᲜᲝᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პრაღა, 23 აპრილი. (საკდესი). პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის სამდივნომ გამოაქვეყნა განცხადება, რომლითაც მილიონობით მშრომელთა სახელით, რომლებიც ფედერაციის შემადგენლობაში შედიან, სოლიდარობას უცხადებს აზიის ქვეყნების მშრომელებსა და პროფკავშირებს, რომლებიც იბრძვიან საომარ მზადებათა იმ პოლიტიკის წინააღმდეგ, რასაც მსოფლიოს ამ რაიონში ამერიკის შეერთებული შტატები ახორციელებენ:

უმაღლესი დონის თათბირის წინ, ნათქვამია განცხადებაში, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა საგენტომ გადასცა, ამერიკელი იმპერიალისტები აძლიერებენ თავიანთ საომარ მზადებას აზიაში. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სამხედრო კავშირი შეკრეს კისის მთავრობასთან, განაგრძობენ ოკინავის ოკუპაციას, განამტკიცებენ თავიანთ სამხედრო ბაზებს ამ კუნძულზე, სამოტაჟს უწევენ კორეაში დაზავების შესახებ შეთანხმებას, ადიდებენ საოკუპაციო ჯარებს სამხრეთ კორეაში, აქ შეაქვთ მართული ყუმბარები და ატომური იარაღი.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები განაგრძობენ ჩინეთის ტერიტორიის — ტაივანის ოკუპაციას, განუწყვეტლივ აღღვევენ ჩინეთის სუპაერო სივრცეს და ტერიტორიულ წყლებს, ტაივანის სრუტეში ჩან კაი-შის ხროვასთან ერთად აწყობენ დიდ სამხედრო მანევრებს, ისინი აჩქარებენ სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებას, სამოტაჟს უწევენ ყენევის შეთანხმებებს. ამერიკელი იმპერიალისტები განაგრძობენ ლაოსის საშინაო საქმეებში ჩარევას და ამით ამწვავებენ სამოქალაქო ომს ამ ქვეყანაში.

განცხადებაში ნათქვამია, რომ იმ ქვეყნებში, რომლებიც უშუალოდ სეატოში მონაწილეობენ, ძლიერდება საომარი მზადება და სუფევს საომარი ატმოსფერო.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია აცხადებს, რომ ამერიკის იმპერიალიზმის ხროკები და აგრესიული მოქმედება აზიაში საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას მსოფლიოს ამ ნაწილში და ზიანს აყენებს აზიის ხალხების ინტერესებს.

აცხადებს რა, რომ ყოველმხრივ მხარს დაუჭერს აზიის ქვეყნების მშრომელთა და ხალხთა მოთხოვნებს, პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია ხაზგასმით აღნიშნავს: შეერთებულმა შტატებმა უნდა უარყონ იაპონია-ამერიკის სამხედრო კავშირი, დაუბრუნონ იაპონიას ოკინავა, დაიცვან შეთანხმება დაზავების შესახებ კორეასა და ვიეტნამში, გააუქმონ ყველა თავიანთი სამხედრო ბაზა, გაიყვანონ თავიანთი შეიარაღებული ძალები აზიის ქვეყნებიდან.

პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაცია რწმენას გამოთქვამს, რომ მთელი მსოფლიოს მშრომელთა და პროფკავშირთა მხარდაჭერითა და სოლიდარობით აზიის ქვეყნების მშრომელები და ხალხები, უეჭველად, მოიპოვებენ გამარჯვებას.

ᲚᲘ ᲡᲘᲜ ᲛᲐᲜᲘ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲔᲡ— ᲛᲝᲘᲗᲮᲝᲕᲔᲜ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲙᲝᲠᲔᲔᲚᲗᲐ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲛᲝᲚᲔᲚᲕᲐᲠᲔᲑᲐ ᲒᲐᲜᲐᲮᲚᲔᲑᲐ

ფხენიანი, 25 აპრილი. (საკდესი). სამხრეთ კორეის ეროვნული კრების დღევანდელმა სხდომამ მშვიდობიანად ჩაიარა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ დემოკრატიული პარტიის ცალკეული დეპუტატების წამოძახილებს, რომელნიც მოითხოვდნენ ლი სინ მანის გადადგომასა და ახალი არჩევნების მოწყობას. საერთოდ კი ამ სხდომაზე, რომელსაც პარლამენტის შემადგენლობის ნახევარზე ცოტა მეტი დაესწრო, ოპოზიციის მშვიდად ეჭირა თავი, არ სურდა, ალბათ, გაემწვავებინა მდგომარეობა, რადგან ეშინოდა ხალხის გულისწყრომის კიდევ უფრო მძლავრი აფეთქებისა. შიშობენ, რომ ასეთმა აფეთქებამ შეიძლება დაამხოს მთელი წყობილება. ლი სინ მანმა, როგორც ცნობილია, გუშინ გაიცადა, რომ ტოვებს ლიბერალური პარტიის ლიდერის პოსტს. მის მომხრეთა ჯგუფმა გამოაცხადა, რომ აღარ იქნება ამ პარტიის წარმომადგენელი და გადადის დამოუკიდებლებთან. ეს მორიგი ფანდი საშუალებას აძლევს ლისინმანელებს უარყონ მოთხოვნა პრეზიდენტისა და პარლამენტის ახალი არჩევნების მოწყობის შესახებ.

ფორმალურად ახლა აღგილები ნაწილდება შემდეგნაირად: ლიბერალები—III, დამოუკიდებლები—49 (წინათ იყო რვა) და დემოკრატები 71.

სხდომა. რომელმაც სულ ნახევარ საათს გასტანა, დამთავრდა რეზოლუციის მიღებით, რომელიც ითვალისწინებს სამხედრო წესების გაუქმებას, მაგრამ ზუსტი ვადის აღუნიშნავად.

ლი სინ მანმა დაავალა თავის თანამოაზრეებს შეადგინონ „დროებითი მთავრობა“, რომელსაც თითონ ჩაუდგება სათავეში.

ამავე დროს, სეულისა და სხვა ქალაქების დაკრძალებით სავსე საავადმყოფოებიდან მოდის ცნობები სისხლისღვრის სულ ახალ და ახალ მსხვერპლთა გარდაცვალების შესახებ. ოფიციალური მონაცემებით, მოკლულთა და ჭრილობებისაგან გარდაცვლილთა რიცხვმა მარტო სეულში, პუსანსა და კვანჯუში უკვე მიაღწია 130-ს.

სამართლიანი აღშფოთება

ნიუ-იორკი, 26 აპრილი. (საკდესი). როგორც უცხოელი კორესპონდენტები იუწყებიან სეულიდან, გუშინ იქ მთელ ღამეს დილამდე გრძელდებოდა მთავრობის საწინააღმდეგო გამოსვლები. რამდენჯერმე დემონსტრანტებმა, ხოლო მათი რიცხვი 20 ათასს აღემატებოდა, ყვირილით „სიკვდილი ლი სინ მანს!“, „სიკვდილი ლი გი ბუნს!“, „დაე მათ სიცოცხლით ზღონ დახვრეტილთა სისხლი!“ სცადეს პრეზიდენტის სასახლისაკენ გაჭრა. მე-15 საარმიო დივიზიის მეთაურმა გაფრთხილა დემონსტრანტები, რომ, თუ არ დაიშლებიან, ჯარი ცეცხლს დაუშენს. გაისმა ზალპები. მოკლულთა და დაჭრილთა რიცხვი გაურკვეველია.

დაახლოებით შუაღამეზე დემონსტრანტები კვლავ დაესხნენ თავს ვიცე-პრეზიდენტ ლი გი ბუნის სახლს, მაგრამ მათ თოფი და ტყვიამფრქვევი დაუშინეს.

დემონსტრანტებმა ხელთ იგდეს რამდენიმე სატვირთო მანქანა და დადიოდნენ ქალაქში. მათ წინააღმდეგ გამოიყვანეს ტანკები, რომლებმაც ქვემეხები დაუშინეს სატვირთო მანქანებს. სტუდენტებმა ქვა დაუშინეს მმართველი ლიბერალური პარტიის მთავარ ბინასა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობას. ქალაქში მთელ ღამეს ისმოდა სროლა.

როგორც უცხოელი კორესპონდენტები აღნიშნავენ, მღელვარება, რომელიც კვლავ დაიწყო სეულში, მოწმობს, რომ სამხრეთკორეელი ხალხი წინააღმდეგობას უწევს ლი სინ მანის ცდებს რადაც უნდა დაუჯდეს შეინარჩუნოს პრეზიდენტის პოსტი.

სისხლისღვრა სეულის ქუჩებში

ფხენიანი, 25 აპრილი. (საკდესი). დღეს საღამოს სამხრეთ კორეის დედაქალაქის ცენტრში კვლავ დაიღვარა ხალხის სისხლი. შეიტყო რა, რომ ეროვნული კრების სხდომამ დღისით ფაქტიურად ლი სინ მანის სურვილისამებრ ჩაიარა, უნივერსიტეტის ახალგაზრდობა და მასწავლებლები გამოვიდნენ ქუჩაში. მოედნისაკენ მიმავალი პარლამენტის შენობის წინ შეეჯახდა სეულის ათასობით მშრომელი. 200 კაციდან დემონსტრანტთა რიცხვი სწრაფად გაიზარდა 20 ათასამდე.

დემონსტრანტების წინააღმდეგ, რომლებიც მოითხოვდნენ ლი სინ მანის დაუყოვნებლივ გადადგომას, მისი ძირმომპალი რეჟიმის შეცვლას, გამოიყვანეს სამი ათასი ჯარისკაცი, ტანკები და პოლიცია. ცრემლსადენ გაზიანი ყუმბარებით, თოფისა და ტყვიამფრქვევის ცეცხლით, თოფის კოხდახებით და ხელკეტებით შეხვდნენ ისინი სეულის მცხოვრებლებს. შეტაკების შედეგად არიან მოკლულნი. მსხვერპლთა ნამდვილი რიცხვი გაურკვეველია.

ყველაზე ცხარე შეტაკება მოხდა ვიცე-პრეზიდენტ ლი გი ბუნის სახლთან, რომელმაც გუშინ უარი თქვა გადადგომაზე. მიუხედავად წინათ მიცემული პირობისა. პოლიციამ ძლივს შეძლო დემონსტრანტების გაფანტვა, რომლებიც სახლში შეიჭრნენ. ლი სინ მანის უახლოესმა დამჭაშმა მოასწრო მიმალვა.

ᲐᲚᲔᲜᲐᲣᲔᲠᲘ — ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲒᲖᲘᲗ
ტ. პინდარევის ნახატი ბულგარეთის გაზეთ „რაბოტნიჩესკო დელოდან“.

საერთაშორისო მიმოხილვა

მსოფლიოში არ არის ქვეყანა, სადაც მშრომელებს არ აღენიშნოთ ვ. ი. ლენინის დაბადების 90 წლისთავი. და ყველგან ამასთან განსაკუთრებით ხაზს უსვამდნენ მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეების ისტორიულ მნიშვნელობას.

„მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წარმოშობის შემდეგ, რომელიც რუსეთში შეიქმნა ოქტომბრის რევოლუციის შედეგად, — წერს სარედაქციო სტატიაში ჩინური ჟურნალი „ხუნცი“, რომელიც პეკინში გამოდის, მსოფლიოში გაჩნდა ახალი ცნება — „მშვიდობიანი თანაარსებობა“. ომების უარყოფისა და კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების მშვიდობიანი ერთიერთობის დამყარების იდეა, რომელსაც ეს ცნება შეიცავს, წამოაყენა ლენინმა და იგი, როგორც „ხუნცი“ აღნიშნავს, ახლა გამოხატავს ყველა ხალხის სასიცოცხლო მოთხოვნილებებს.

მსოფლიოს პეკინი ბოლოში კი — საფრანგეთში — საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მორის ტორეზი ხაზგასმით აღნიშნავს: „მივდევთ რა ლენინის მოძღვრებას, ჩვენ კეთილი ნების ყველა ადამიანთან ერთად თავს ვუძღვნით ბრძოლას მშვიდობის საქმის გამარჯვებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის“. ვ. ი. ლენინის მოძღვრება, აღნიშნავს მ. ტორეზი, აღაფრთოვანებს ხალხებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, განიარაღებისათვის საბრძოლველად, რომელსაც ვლადიმერ ილიას-ძე „სოციალიზმის იდეალს“ უწოდებდა.

თანამედროვე პირობებში ომის ან მშვიდობიანი თანაარსებობის საკითხი მსოფლიო პოლიტიკის ძირეული პრობლემა გახდა.

ლენინის წლისთავის წინ შორეულ ჰანოიში გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომლის მონაწილეებმა მოსკოვში გამოგზავნეს წერილი, სადაც ხაზგასმით აღნიშნულია: „ვიეტნამელი ხალხი პირობას იძლევა განამტკიცოს სოლიდარობა საბჭოთა კავშირთან და სხვა მომძლე ქვეყნებთან და განაგრძოს ბრძოლა საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომი შენელებისათვის, საყოველთაო და სრული განიარაღების განხორციელებისა და მთელ მსოფლიოში მტკიცე მშვიდობის შექმნისათვის“. ბუქარესტში ლენინის 90 წლისთავი აღინიშნა დიდი ბელადის ძეგლის გახსნისათვის, ამასთან დაკავშირებით გამოვიდა რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი გ. გეორგიუ-დეი, რომელმაც აღნიშნა, რომ რუმინელი ხალხი ერთგულია ლენინის მოძღვრებისა და მზად არის საბჭოთა კავშირთან ერთად დაიცვას მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საქმე. ტოკიოსა და რომში, პრაღასა და ვარშავაში, ბუდაპეშტსა და ბერლინში, ლონდონსა და სტოკჰოლმში გიმართა მასობრივი კრებები, რომელთა მონაწილეებმა ერთსულოვნად მოიწონეს მშვიდობის ლენინური პოლიტიკა, რასაც საბჭოთა კავშირი ახორციელებს. აღნიშნავს რა ამას, ბუდაპეშტის გაზეთი „ნეპსავა“ წერს: „ლენინის სახელსა და ლენინის საქმეს ადიდებს განთავისუფლებისათვის, მშვიდობისათვის, კაცობრიობის ნათელი ხვალინდელი ღღისათვის ბრძოლა, რომელსაც მსოფლიო მასშტაბი მიეცა“.

მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური იდეა მკაფიოდ გამოხატა აგრეთვე მთელი რიგი საერთაშორისო აქტებით, რომლებითაც გამოვიდნენ სოციალისტური ბანაკის ქვეყნები ამ უკანასკნელ დღეებში. საქმე ეხება უწინარეს ყოვლისა საბჭოთა წამოწყებებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგრეთ-ეკონომიური კომისიის XV სესიასთან დაკავშირებით, რომელიც 20 აპრილს გაიხსნა.

სესიისადმი მისალმებაში ჩვენი მთავრობის მეთაური ნ. ს. ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ჩვენს დროში, როცა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეა ახალ მომხრეებს იძენს მთელ მსოფლიოში, ეკონომიური კომისიის როლი და მნიშვნელობა იზრდება, და იმედს გამოთქვამს, რომ კომისიის XV სესია წვლილს შეიტანს ევროპის სახელმწიფოთა მეგობრული თანამშრომლობის განმტკიცების საქმეში მშვიდობის ინტერესებისათვის. ასეთი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად საბჭოთა მთავრობამ გამოაქვეყნა მემორანდუმი „ევროპის ყველა ქვეყნის ეკონომიკის შემდგომი განვითარებისა და ევროპის ქვეყნებსა და მსოფლიოს სხვა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ“. მემორანდუმის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია.

დასავლეთ ევროპაში ორი ეკონომიური დაჯგუფების — „საერთო ბაზრის“ (რომელიც აერთიანებს საფრანგეთს, იტალიას, დასავლეთ გერმანიას, ბელგიას, ჰოლანდიასა და ლუქსემბურგს) და „თავისუფალი ვაჭრობის“ ასოციაციის (რომელშიც შედიან ინგლისი, ავსტრია, პორტუგალია, შვეიცარია, დანია, ნორვეგია და შვეცია) შექმნა აძნელებს ევროპის ქვეყნების მეურნეობის განვითარებასა და მათ თანამშრომლობას.

პირდაპირ საწინააღმდეგო მიზნებს ისახავს საბჭოთა მემორანდუმი. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის ყველა ქვეყანა დაინტერესებულია საერთაშორისო დაძაბულობის შენელებით და ურთიერთ ხელსაყრელი ეკონომიური თანამშრომლობის მოგვიანებით, ჩვენმა ქვეყანამ ევროპის ეკონომიურ კომისიას დაუსახა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი პრაქტიკული პრობლემები. ჩვენ წინადადება შევიტანეთ, კერძოდ, შესწავლილ იქნას ევროპის ქვეყნების მიერ დიდი სამრეწველო საწარმოების ერთობლივად დაროექტებისა და მშენებლობის შესაძლებლობა, აგრეთვე თანამშრომლობა ევროპის სათბობ-ენერგეტიკის ბაზის განვითარებაში. ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევით მოწვეულ იქნას ევროპის ქვეყნების ვაჭრობის მინისტრების თათბირი, რომ ამ თათბირზე განხილულ იქნას სრულიად ევროპის მასშტაბით საქონელგაცვლის გაფართოების გზები. ჩვენ წამოვაყენეთ აზრი, რომ შესწავლილ იქნას განაიარაღების ეკონომიური შედეგები, რათა ეს სახსრები, რომლებსაც ახლა გამალებული შეიარაღება თქვეს, გამოყენებულ იქნას ქვეყნებისა და ხალხების მშვიდობიანი პროგრესისათვის. ბოლოს, საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება, რომ გაფართოვდეს ევროპის ქვეყნების თანამშრომლობა მეცნიერული და ტექნიკური გამოცდილების გაცვლის დარგში.

იქ ძირითად წინადადებათა ამ მოკლე ნუსხიდანაც კი, რომელებსაც საბჭოთა მემორანდუმი შეიცავს, ჩანს, რომ იგი ემსახურება ევროპის ქვეყნების ურთიერთობის საერთო გაჯანსაღების საქმეს, საყოველთაო მშვიდობისა და პროგრესის საქმეს.

მისწრაფებით, რომ უზრუნველყოფილი იქნას საერთაშორისო ვითარების შემდგომი გაჯანსაღება, გამსჭვალულია აგრეთვე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიერ წამოყენებული „სახალხო გეგმა ევროპის საკითხზე“.

ამ გეგმის საფუძველი, რომელიც ჩამოყალიბებულია გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ღია წერილში დასავლეთ გერმანიის მუშებისადმი, არის დებულება: „ურთიერთგაგება ორივე გერმანულ სახელმწიფოს შორის მიღწეულ უნდა იქნას ეროვნული კომპრომისის საფუძველზე, რომელიც მისაღები იქნება დასავლეთ გერმანიისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არა მარტო მუშებისათვის, არამედ აგრეთვე სხვა კლასებისა და მოსახლეობის ფენებისათვის, თვით დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიის წრეებისათვისაც“. ამის შესაბამისად „სახალხო გეგმა“ აყენებს წინადადებებს, რომლებიც ითვალისწინებენ: ორივე გერმანული სახელმწიფოს უარს „სამოქალაქო ომზე და საერთოდ ომზე, მუქარაზე, ზეგავლენასა და ძალის გამოყენებაზე ერთმანეთის მიმართ“; მოლაპარაკებას გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკასა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის, რათა მიღწეულ იქნას შეთანხმება პარიტეტულ საწყისებზე სრულიად გერმანიის კომიტეტის შექმნის შესახებ, უმაღლესი დონის მომავალ თათბირზე ერთობლივი დელეგაციის გაგზავნას, რომელიც იქნება ორივე გერმანული სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი; გერმანიასთან საბაჟო ხელშეკრულების შემუშავებას, რომელსაც ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნები ხელს მოაწერენ ან ორივე გერმანულ სახელმწიფოსთან, ან ერთ-ერთ მათგანთან.

„სახალხო გეგმამ“ გერმანიის ორივე სახელმწიფოში უბრალო ადამიანთა ფართო მოწონება გამოიწვია. მაგრამ დასავლეთ გერმანიის მმართველი წრეები ილაშქრებენ მის წინააღმდეგ და ამით ერთხელ კიდევ ცხადყოფენ თავიანთ წინააღმდეგობას მშვიდობისა და მშვიდობიანი თანაარსებობის საქმისადმი. ბონის ხელისუფალთა ასეთი პოლიტიკა, რასაც თან ახლავს ფაშისტური და მილიტარისტული ძალების სულ უფრო მეტი თარეში დასავლეთ გერმანიაში, ყველა მშვიდობისმოყვარე და სალად მოაზროვნე ადამიანის კანონიერ შეშფოთებას იწვევს როგორც ორივე გერმანულ სახელმწიფოში, ისე მათ ფარგლებს გარეთაც. და უნდა ითქვას, რომ საფუძველი ასეთი შეშფოთებისათვის მით უფრო მეტია, რომ ბონის მ

როცა გოგონებს არ სჯერათ...

ფოტოეტიუდი ბ. დადვაძისა და ო. ხავთასისა.

ერთი პარტიის შესახებ

ძალიან ბევრი დავა გამოიწვია მე-16 პარტიამ. მაშინაც კი, როცა პარტია თანაბარ პოზიციაში გადაიდო, ბევრი კომენტატორი საწინააღმდეგო აზრებს გამოთქვამდა.

მაგალითად, ოსტატი პანოვი 24 აპრილის გაზეთ „იზვესტიაში“ წერს, უპირატესობა ბოტვინიკის მხარეზეაო, გროსმაისტერი ტოლუში გაზეთ „პრავდაში“ აღნიშნავდა, შავების პოზიცია უკეთესიაო.

„სოვეტსკი სპორტმა“ ხელმოუწერელ ანგარიშში, რომელიც უნდა ვიფიქროთ, დაწერილია ამ გაზეთის მუდმივი თანამშრომლის პროკოფიჩის მიერ, გამოთქვა მთლად ორიგინალური და გაბედული აზრი, რომ მ. ბოტვინიკმა ხელიდან გაუშვა გამარჯვების შესაძლებლობა ჯერ კიდევ 38-ე სვლაზე. აზრთა ასეთი სხვადასხვაობა შემთხვევითი როდია.

ჯერ ერთი მხედველობაში მისაღებია, რომ კორესპონდენტები ჩვენს სუბიექტურ აზრებს გამოვთქვამთ. მაგრამ არცერთ ჩვენგანს არ უთამაშნია მატჩი მსოფლიო პირველობაზე.

მეორეც, მომხდარ ამბებს ჩვენ შეფასებას ვაძლევთ ცხარე ბრძოლის უშუალო შთაბეჭდილებით, საკმაო ანალიზისათვის დროის უქონლად, ესეიგი, ჭადრაკის ენით რომ ვთქვათ, ცაიტნოტში.

მე-16 პარტიის სწორი გაშუქება რომ მომეღო, მე მივმართე გროსმაისტერ მ. ტალს. მან ხალისით გამიზიარა თავისი აზრი ამ პარტიის შესახებ.

აი რა თქვა მან:

„28-ე სვლაზე მ. ბოტვინიკმა აირჩია გეგმა, რომელიც არ შეიძლება საუკეთესოდ იქნას მიჩნეული. სჯობდა 28. მb4 (ნაცვლად d:c7-ისა) და მაშინ მე დიდი სიძნელეები შემექმნებოდა. შემდეგ მე ბევრი დრო დავკარგე 33-ე და 34-ე სვლებზე ორივე მხარისათვის სახიფათო პოზიციაში. მე უნდა მეთამაშნა 33. ლg5 (ნაცვლად f:d3-ისა). ლაზიერით ამ სვლაში დაფარულია მახე. თუ 34. კc4 ლc1+ 35. მg1 ლd2+ 36. მg1 ლd1+ 37. მg1 e3+! 38. მg:e3 მ:c4+ და შავები, მოიგერიებდნენ რა საშამათო მუქარას, მიიღებდნენ უკეთეს პოზიციას.

ლაზიერების გაცვლის შემდეგ დაფაზე თანაბარი პოზიცია შეიქმნა.

პრორვიჩის რეკომენდაცია „სოვეტსკი სპორტში“ მკითხველთა მხოლოდ დეზორიენტაციას იწვევს 38. c6 bc 39. მ:c6-ს მოჰყვებოდა 39. . . . e3+! 40. მg:e3 კf1 41. მ:e5 კg2.

და ამ პოზიციაში მე მეტი შანსები მექნებოდა, ყოველ შემთხვევაში თეორებს მოგების არავითარი შანსი არ ექნებოდათ.

და, ბოლოს, რამდენიმე სიტყვა გადადებული პოზიციის შესახებ.

იმავე საღამოს, როცა მ. ბოტვინიკმა 41-ე სვლა ჩაიწერა, მე მას ყაიმი შევთავაზე. მეორე დღეს, ე. ი. კვირას, მსოფლიოს ჩემპიონმა ჩემი წინადადება მიიღო. მ. ბოტვინიკს ჩაუწერია 41. a4 მე მხედველობაში მქონდა ამ სვლაზე მეპასუხნა 41... g5 და მაშინ თეორიები ყაიმს მიაღწევდნენ მხედრის შეწირვით ორ პაიკში, სახელდობრ, 42. მ:a5 მ:a5 43. მg e3 მb3 44. მg:e4 მc5+ 45. მg f5 მ:a4 46. c4 და შემდეგ მეფე იღებს g5 პაიკს. აი ამ ვარიანტის გამო მე შევთავაზე ყაიმი“.

პატივცემულო მკითხველებო! მე ვფიქრობ, მ. ტალის ეს ნაამბობი საინტერესო იქნება თქვენთვის და სწორ წარმოდგენას მოგცემთ ამ ორთაბრძოლაზე.

მ. ტალის მეხუთე გამარჯვება

მოსკოვი. 26 აპრილი. (სპეც. კორ.). მე-17 პარტიის წინ მეტოქენი საბრძოლოდ იყვნენ განწყობილი. მ. ტალი ცდილობდა მიეღწია მაგიური ციფრისათვის — 10-სათვის, რომლის მნიშვნელობაზე ჩვენ უკვე გვქონდა ლაპარაკი. მსოფლიო ჩემპიონი კი ცდილობდა როგორმე შეემცირებინა ქულათა განსხვავება.

მოწინააღმდეგეთა საბრძოლო განწყობილება აისახა დღევანდელ პარტიაში. კვლავ გათამაშდა კარო-კანის დაცვა. როგორც მე-15 პარტიაში, რიგელმა გროსმაისტერმა ამჯერადაც ხელთ იგდო ინიციატივა. შავების მდგომარეობა გამოიყურებოდა მძიმედ, მაგრამ მსოფლიო პირველობის ახალგაზრდა პრეტენდენტმა ვერ გამოიყენა უპირატესობა, მან ნაადრევად გახსნა თამაში. საინტერესოა, რომ 24-ე სვლის შემდეგ მეტოქეებს თანაბარი დრო ჰქონდათ დახარჯული, ამიტომ შემდეგში ორივე ციაიტნოტში მოექცა.

მსოფლიოს ჩემპიონის სიმშვიდემ დაცვაში თავის ნაყოფი გამოიღო, თეორების პაიკების პოზიცია მთელ დფაზე შესუსტებული აღმოჩნდა და შავებმა მიიღეს იერიშის ობიექტი. 34-ე სვლაზე მ. ბოტვინიკმა პაიკი მოიგო და მ. ტალი იძულებული გახდა ტაქტიკურ ბრძოლაზე გადახულიყო. მან კიდევაც შექმნა ზოგიერთი მუქარა მ. ბოტვინიკის მეფის წინააღმდეგ, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. მსოფლიოს ჩემპიონს შეეძლო შეენარჩუნებია, როგორც მატერიალური, ისე პოზიციური უპირატესობა. პარტიის დაბოლოება ტრაღიკულ ხასიათს ატარებდა, იგი მსოფლიოს ჩემპიონის კატასტროფით დამთავრდა. 39-ე სვლაზე მ. ბოტვინიკმა დაუშვა გადამწყვეტი შეცდომა. ეტლის ლამაზი შეწირვით რიგელმა გროსმაისტერმა წამოიწყო შავების მეფეზე ძლიერი იერიში და 41-ე სვლაზე მ. ბოტვინიკი აიძულა წინააღმდეგობა შეეწყვიტა.

ამრიგად, 17 შესაძლებლიდან მ. ტალმა 10 ქულა შეაგროვა, განსხვავება 3 ქულას შეადგენს, მსოფლიოს ჩემპიონის მდგომარეობა მეტად სახიფათოა.

მე-18 პარტია უნდა შედგეს 28 აპრილს.

ვ. რაგოზინი,
საერთაშორისო გროსმაისტერი.

მეჩვიდმეტე პარტია

კარო-კანის დაცვა

მ. ტალი (თეთრები) — **მ. ბოტვინიკი** (შავები)

1. e4 c6 2. d4 d5 3. მc3 de 4. მ:e4 კf6 5. მg3 კg6 6. კc4 e6 7. მ1c2 მf6 8. მ:g6 hg 9. კd6 10. კg5 მbd7 11. 0—0 ლa5 12. f4 0—0—0 13. a3 ლc7 14. b4 მb6 15. კe2 კe7 16. ლd3 მfd5 17. კ:e7 18. c4 მf6 19. gab1 ლd7 20. ებd1 მg b8 21. ლb3 ლc7 22. a4 ებ 23. a5 მc8 24. ლe3 მe7 25. ლe5 მd6 26. b5 cb 27. ლ:b5 a6 28. ლb2 ებ 29. c5 მg a8 30. კf3 მc6 31. კ:c6 ლ 32. ეf3 ლa4 33. ეfd3 ეc8 34. ებ1 ლ 35. ეb3 ლc7 36. ლa3 მg a7 37. ებ ლ:f4 38. მe2 ლe4 39. ლb3 ლd5 40. ეg:a6+ მg b8 41. ლa4 და მ. ბოტვინიკ დანებდა.

ხელოვნების ქრონიკა

ახალი ამბები, ფიქრები, ფიტვრები

ლაგოდეხის სახალხო თეატრში

ლაგოდეხის კულტურის სახლთან ახლახან შექმნილ სახალხო თეატრში სეზონი გაიხსნა რანეტის პიესით „ბაბანეული შვილი“. პიესა დადგა რეჟისორმა ა. ალაზნისპირელმა, მხატვარულად გააფორმა დ. ლურსმანაშვილმა. მუსიკა ეკუთვნის ი. უხოვს. როლებს ასრულებენ მასწავლებელი ო. ზედელაშვილი, დიასახლისი ფ. მირიანაშვილი, მ. თანდაშვილი, თ. მესხიშვილი და სხვები.

ამ დღეებში ლაგოდეხელმა მაყურებლებმა ნახეს მეორე პრემიერაც ა. ალაზნისპირელის კომედიები „პირისპირ“ და „მშობლის ვალდებულება“.

თავისი დადგმები სახალხო თეატრმა უჩვენა სოფელ აფენის სტალინის და ჭავჭავაძის სახელობის, სოფელ ვარდისუბნის მაქსიმ გორკის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

მ. გოგოსაშვილი.

„მელია და ყურძენი“

ამბროლაურის სახალხო თეატრმა მორიგ პრემიერად მაყურებელს უჩვენა ა. დეკოძის „მეუღლენი“. დადგმა ეკუთვნის გ. ჯაფარიძეს, მუსიკალურად გააფორმა ახალგაზრდა მუსიკოსმოყვარულმა ნ. გოგშელიძემ. პიესაში ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობენ ძველი მსახიობები თ. მაცაბერიძე, გ. აბაიშვილი, კ. წერეთელი.

აკ. კერესელიძე.

„ძუნწი“

ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის კლუბის დრამატულმა კოლექტივმა მაყურებელს უჩვენა გ. ერისთავის კომედია „ძუნწი“. დადგმა განახორციელა ვ. ოდილაძემ. მთავარ როლებს ასრულებენ ე. კუპრაშვილი, ზ. ჭუმბაძე, ე. ლაფერაძე.

ნ. ჯინჯიხაძე.

დამსვენებელი კმაყოფილია

სოხუმთან ახლოს თვალწარმტაც მაღლობზე მდებარეობს გულრიფშის ვ. ი. ლენინის სახელობის სანატორიუმი. ის მოთავსებულია ოთხსართულიან ლამაზ შენობაში. აქვს ნათელი ოთახები, ლაბორატორიები და კარგად მოწყობილი სამკურნალო კაბინეტები.

ჯანმრთელობის კერის შენობის ფასადი მიმართულია ზღვისაკენ. ავადმყოფთა გასეირნებლებშია ქარისაგან დაცული აივნები, სადაც დადგმულია საწოლები სადღეღამისო კლიმატური მკურნალობისათვის. სანატორიუმის პარკი გაშლილია 70 ჰექტარ ფართობზე.

ამას წინათ აქ ჩამოვიდა ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხიდან დამსვენებელთა ახალი ჯგუფი. აქ შეხვდებით სვირდლოვსკისა და პერმის, უფიისა და ორენბურგის, ყაზანისა და კრასნოიარსკის, რიგისა და პეტროზავოდსკის მკვიდრებს.

სანატორიუმის მთავარმა ექიმმა ვ. ციწაბაეამ საუბარში განაცხადა:

— თუ მხედველობაში არ მივიღებთ რემონტისათვის ორი თვის შესვენებას, ჩვენი სანატორიუმი მთელი წლის განმავლობაში მუშაობს. უკანასკნელ ხანებში უფრო სრულყოფილი ხდება მკურნალობის მეთოდები. მიმდინარე სეზონში რენტგენის კაბინეტი შეივსო ახალი აპარატურით. მკურნალობის სანიტარულ-კურორტული მეთოდების გვერდით ფართო გამოყენებას პოულობენ ანტიბიოტიკები. დადებით შედეგებს იძლევა აგრეთვე ყურძნით მკურნალობა.

ჯანმრთელობის კომბინატის წინადადებათა წიგნი სავსეა ვ. ი. ლენინის სახელობის სანატორიუმის დაუღალავი სამედიცინო კოლექტივის მიმართ უდიდესი მადლობის ამსახველი ჩანაწერებით. (**„კომუნისტის“ საკ. კორ.**).

მესიკალური სკოლა საბჭოთა მეურნეობაში

თელავი. (საკ. კორ.). — ჩემს ბავშვს სურს ფორტეპიანოს დაკვრა ისწავლოს. ადგილზე ამის საშუალება არ არის, გთხოვთ დაგვეხმაროთ.

— პატარა ლიას მუსიკის ნიჭი აქვს. მთხოვს ვასწავლო, მაგრამ სად? ჩვენთან სპეციალისტები არ არიან. ვიზრუნოთ ამ საქმეზე.

ბევრ ასეთ განცხადებასა და საჩივარს იღებენ წინანდლის ლენინის ორდენოსანი ღვინის ქარხანა-საბჭოთა მეურნეობის დირექცია, მუშათა კომიტეტი. და აი მეურნეობაში მუსიკალური სკოლა გაიხსნა. საამისოდ ფართო და ნათელი ოთახები გამოჰყვეს, ინსტრუმენტები შეიძინეს, სპეციალისტები მიიწვიეს.

ამჟამად ორმოცდაოთხი ბავშვი მონდომებით სწავლობს ფორტეპიანოს დაკვრას. მასწავლებლები მ. მუმლაძე, ჯ. სვანიძე, გ. ხუციაძე, რ. კუპატაძე ბავშვებს პროგრამით გათვალისწინებულ მასალას წარმატებით ასწავლიან.

მომავალი წლიდან მუსიკალურ სკოლაში გაიხსნება ვიოლინოს დაკვრის შემსწავლელი ჯგუფიც.

ქართველ მწერალთა ნაწარმოებები უცხოეთში

ჩეხოსლოვაკიის გამომცემლობა „სვეტ სოვეტუმ“ ამას წინათ გამოსცა **ილია ჭავჭავაძის** რჩეული ლექსებისა და პოემების კრებული ჩეხურ ენაზე. კრებულს „ოქროს აკვანი“ ეწოდება. წიგნში დაბეჭდილია „განდეგილი“, „კაკო ყაჩაღი“ და რამდენიმე ლირიკული ლექსი.

წიგნს დართული აქვს მთარგმნელის პოეტ მიროსლავ ჩერვენკას მოკლე ბოლოსიტყვაობა, რომელშიც იგი ლაპარაკობს თავის სურვილსა და ცდაზე ჩეხ მკითხველამდე მიეტანა „თუნდაც ნაპერწკალი იმ მღელვარებისა, ილია ჭავჭავაძის თანამემამულენი რომ განიცდიან ამ დიდი პოეტის ნაწარმოებების კითხვისას“.

წიგნი ლამაზად არის დასურათებული. ტირაჟია 2.000 ცალი.

რუმინეთის სახელმწიფო გამომცემლობა „კარტეა რუსამ“ გამოსცა საქართველოს სახალხო პოეტის გიორგი ლეონიძის რჩეული ლექსები და პოემები. წიგნი მთლიანად თარგმნილია ცნობილი რუმინელი პოეტის ვიქტორ კერნბახის მიერ, რომელსაც კრებულისათვის მეტად გულთბილი, საქმიანი წერილიც დაუთავსებია.

წიგნში დაბეჭდილია გიორგი ლეონიძის ასამდე ნაწარმოები.

სურათზე: ილია ჭავჭავაძის ლექსებისა და პოემების კრებულის „ოქროს აკვანისა“ (მარცხნივ) და გიორგი ლეონიძის „რჩეულის“ ყდები.

ზურგთმოძღვარი

ის დღე გუშინდელივით ახსოვს ქეთინოს. სპროექტო ინსტიტუტ „ქალაქმშენსახპროექტში“ მაშინ კონკურსი იყო გამოცხადებული ფართოეკრანიანი ტიპური კინოთეატრის პროექტზე. კონკურსზე ბევრ არქიტექტორს ჰქონდა წარდგენილი ნამუშევარი, მათ შორის ქეთინოსაც. მოუთმენლად ელოდა თავისი პირველი დამოუკიდებელი ნამუშევრის ბედს. და აი ეუბრიმ ქეთინო ციწაძის 350-450-600-ად გ ადგილიანი ფართოეკრანიანი კინოთეატრის ტიპურ პროექტს მიანიჭა პირველი ხარისხის პრემია.

ქეთინოს ბავშვობიდანვე იტაცებდა ხუროთმოძღვრება. ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა იგი არქიტექტურულად ლამაზი შენობის ანდა ისტორიული ძეგლის წინ და ყურადღებით უთვალიერებია ძველი ხუროთმოძღვრის ნახელავი.

— რა ბედნიერებაა იყო არქიტექტორი, — ფიქრობდა იგი, — თვალით შეხედო შენი ჩანაფიქრის ხორცშესხმულ სახეს, შეხედო არა მარტო შენ, არამედ იგი წლების და შეიძლება საუკუნეების განმავლობაშიც დარჩეს...

გოგონას ოცნებას მალე შეესხა ფრთები. 1953 წელს მან წარმატებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის საარქიტექტურო ფაკულტეტი და მეორე წლიდანვე დაიწყო მუშაობა საპროექტო ინსტიტუტ „ქალაქმშენსახპროექტში“. მას აქ ხელმძღვანელობას უწევდა გამოცდილი არქიტექტორი ქალი მ. ჭკადუა. ქეთინო ყურადღებით უსმენდა უფროსის რჩევას, მის ყოველ მითითებას, ყოველდღიურად იმაღლებდა ცოდნას და თავისი მუყაითი შრომით მალე დაიმსახურა საერთო პატივისცემა.

ტიპური დაგეგმარების განყოფილება, სადაც ქეთინო მუშაობს, მეტად საპასუხისმგებლო და თავისებური უბანია. თვითეული აქ შექმნილი პროექტი საფუძვლად ედება მრავალ შენობას. ამავე დროს პროექტები ითვალისწინებს ასაწყობი კონსტრუქციის გამოყენებას, მასალების ეკონომიურად ხარჯვას, შენობის კომფორტაბელობას.

ქეთინოს მეორე დამოუკიდებელი ნამუშევარი, აგრეთვე წარდგენილი საინსტიტუტო კონკურსზე იყო ტიპური პროექტი საბავშვო ბაღისა, საბავშვო ბაგისა 80-100 ბავშვისათვის. მისი პროექტის მიხედვით შენობა ერთსართულიანია. ძირითადი მომსახურე პუნქტი არის ცენტრში, თვითეული ჯგუფი იზოლირებულია ერთმანეთისაგან თავისი საკუთარი გასახდელით, სამეცადინო და სასაუზმე ოთახებით, აივნითა და ეზოთი. ამ პროექტმა მესამე ხარისხის პრემია დაიმსახურა.

გასულ წელს ინსტიტუტში გამოცხადებულ შიდა კონკურსზე ქეთინო ციწაძემ კვლავ მიიღო მონაწილეობა. ამჯერად მან წარადგინა 300-ადგილიანი კინოთეატრის პროექტი რაიონული ცენტრისათვის.

შენობის ძირითად პრინციპად მას მიღებული აქვს სათავსების სიმეტრიული გადაწყვეტა გრძივი ღერძების მიმართ, სადაც ყველა ძირითადი სათავსები (სალარო, ვესტიბიული, და სხვ.) დაგეგმარებულია I სართულზე, საპროექციო მოთავსებულია ვესტიბიულის თავზე. მასთან კავშირი განხორციელებულია დამოუკიდებელი კიბით.

ავტორი ითვალისწინებს საქართველოს თბილ კლიმატურ პირობებს, ამიტომაც ვესტიბიულის წინ მთელი კედელი გაკეთებული აქვს ბეტონის აყურული ვიტრაჟისაგან, რომელიც ზაფხულის თვეებში გაიხსნება და ხელს შეუწყობს ჰაერის ბუნებრივ ვენტილაციას.

ქ. ციწაძის ამ ნამუშევარმა მაღალი შეფასება მიიღო და მას პირველი პრემია მიანიჭეს.

კიდევ მრავალი ნამუშევარი აქვს ახალგაზრდა არქიტექტორს — ტიპური საცხოვრებელი სახლების პროექტები 60-70-ბინიანი საცხოვრებელი სახლებისა, საბავშვო ბაღისა და სხვ.

...მაგიდაზე დაყრდნობილი ხუროთმოძღვარი ქალი გულმოდგინედ ამუშავებს საზაფხულო კინოთეატრის სამუშაო ნახაზებს. სულ მალე ამ პროექტით აშენებული საზაფხულო კინოთეატრების შენობები დაამშვენებენ ქარელსა და ლანჩხუთს.

ლ. ხუციშვილი.

სურათზე: 300 ადგილიანი კინოთეატრის ტიპური პროექტი, რომლის ავტორია არქიტექტორი ქეთევან ციწაძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



საქართველოს ს. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და გალეტის თეატრი

პარასკევი, 29 აპრილი

აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 40 წლისთავისადმი მიძღვნილი კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობენ აზერბაიჯანის სსრ და საქართველოს სსრ მსახიობები.

სსრ კავშირის სახალხო არტისტი **გ. მ. ნიაზი**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **რაშიდ ბეიბუთოვი**, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი **სარა კადიმოვა**, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი **ნონა ასლანოვა**, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი **ჩინგიზ სადიხოვი**, აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი **მ. მურადოვი, გ. ალიევი, ი. მამედოვი**, სსრ კავშირის სახალხო არტისტი **პეტრე ამირანაშვილი**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ლილა გოცირიძე**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ვერა წიგნაძე**, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი **ზურაბ კიკალეიშვილი**, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი **თენგიზ მუშკუდიანი, ნოდარ ანდღულაძე, ნათელა ტუღუში, გაიანე დოლიძე, ალა დვალი, ვახტანგ გუნაშვილი, ელისო ვირსალაძე, როდამ ჯანდიერი.**

აკომპანემენტი: საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი **ტ. გ. დუნენკო** და **ელენე დვალი.**

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. **ბილეთები იყიდება.**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1960-61 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

თერაპია — 2 ადგილი, პედიატრია — 1, ინფექციური სნეულებანი — 1, რენტგენო-რადიოლოგია — 1, მიკრობიოლოგია — 1, ბავშვთა ქირურგია — 1.

ასპირანტურაში მიიღებიან უმაღლესი განათლების მქონე პირები არაუმეტეს 35 წლისა.

საკონკურსო მისაღებ გამოცდებზე დაიშვებიან ის პირები, რომლებსაც აქვთ სპეციალობაში მუშაობის სულ მცირე სამი წლის სტაჟი.

ასპირანტურაში ჩარიცხვისათვის მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების თანდართვით (ორ ცალად): კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის ნოტარიული პირი, საქმიანი დახასიათება მუშაობის ადგილიდან, ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, მეცნიერული შრომების სია, მეცნიერული შრომა ან რეფერატი სპეციალურ საგანში და ფოტოსურათი.

განცხადებები მიიღება 25 აგვისტომდე.

გამოცდები იწარმოებს 15 სექტემბრიდან შემდეგ დისციპლინებში: 1. მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძვლებში, 2. სპეციალურ დისციპლინებში, 3. რუსულ ენასა და ერთ-ერთ უცხო ენაში.

27 აპრილი

თეატრები: **ოპერისა და ბალეტის**— დონ-კიხოტი (მე-11 აბონ. მე-8 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — როცა ასეთი სიყვარულია, **მარჯანიშვილის სახელობის** — ხეები ზეზეურად კვდებიან, **გრიბოედოვის სახელობის** — ჭიქა წყალი, **სანკულტურის** — სიცოცხლის ტყე, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ციცინა (აბ. № 48, 7 ს.), **თოჯინების ქართული** — პოტაპიჩი (11 ს.), ყურშა (4 ს.), **ფილარმონიის საზაფხულო** — იტალიური სიმღერების საღამო კლაუდიო ვილას მონაწილეობით.

კინოებში: **რუსთაველის სახელობის, ამირანი, ისანი, 26 კომისრის სახელობის** (პირველი დარბაზი), **საქართველო** (მწვანე დარბაზი), **პლეხანოვის სახელობის კლუბი** — სადაც არ უნდა იყო, **ოქტომბერი** — კემბელის სამეფო, **სპარტაკი** — კერპი, **თბილისი** — მოკლეშარვლიანი ადამიანი, **26 კომისრის სახელობის** (მეორე დარბაზი) — ვნებათა ყურე, **კომკავშირელი** — საუკეთესო წლები, **საქართველო** (წითელი დარბაზი), **ჭავჭავაძის სახელობის კლუბი** — პირველმბეჭდავი ივანე ფეოდოროვი, **კოლხიდა, ოფიცერთა სახლი** — მარდილოსანი ძაღლით, **გორკის სახელობის კულტურის სახლი, ძერჟინსკის სახელობის კლუბი** (საზაფხულო), **თანამგზავრი** — შავზღვეული გოგონა.

საქართველოს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგ ვაკანტურ თანამდებობათა დასაკავებლად:

1. პათოფიზიოლოგიური ლაბორატორიის გამგე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) — 1.
2. ნევროლოგიური განყოფილების გამგე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი)—1.
3. კურორტების და საკურორტო დაწესებულებათა საორგანიზაციო განყოფილების გამგე (მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ან კანდიდატი) — 1.
4. საკურორტო კლიმატოლოგიისა და კლიმატოთერაპიის განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკი (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი) — 1.
5. კლინიკური განყოფილების უფროსი მეცნიერი მუშაკი გინეკოლოგი (მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი) — 1.

საბუთები წარმოდგენილ უნდა იქნას კურორტოლოგიის ინსტიტუტის კანცელარიაში. **კონკურსის ვადა ერთი თვე** დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

სსრ კავშირის პირველობაზე

თერთმეტი გურთი ერთ თამაშში

საკავშირო ჩემპიონატის მეოთხე ტურში თბილისის დინამოელები შეხვდნენ პირველი ქვეჯგუფის ერთ-ერთ აუტსაიდერს ტალინის „კალევს“. ეს მატჩი გაიმართა გუშინ ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე.

მასპინძელთა უპირატესობა აშკარა იყო. ისინი მეტოქეს სჯობდნენ თამაშის ტექნიკაში, ტაქტიკაში, კომბინაციებში. „კალევის“ მცველებმა თავი ვერ გაართვეს თბილისელთა განუწყვეტელ იერიშებს, მათ ვერც თავდამსხმელთა უკან დახევამ უშველა.

დინამოელთა შეტევები მეტწილად ფლანგებიდან ხორციელდებოდა, ხოლო კომბინაციათა დაგვირგვინება — ცენტრიდან. თავდამსხმელებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მესხი, რომელიც იერიშების წამომწყება და სულის ჩამდგმელი იყო.

დინამოელებმა ამ დღეს მიმდინარე წლის საფეხბურთო სეზონის რეკორდი დაამყარეს, მოიგეს მატჩი დიდი ანგარიშით 9:2.

გატანილი ბურთების ავტორები აირიან — კალოევი (4), მელაშვილი (3) და ბარქაია (2).

სტუმართა მიერ გატანილ ორ ბურთში ჩანდა „დინამოს“ მცველთა ყურადღების მოდუნება, უხეში შეცდომები.

პირველი ქვეჯგუფი

გუშინ ხარკოვში, კიშინიოვში, რიგასა და ერევანში გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩები ფეხბურთში პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის.

ხარკოვი. სსრ კავშირის ჩემპიონმა მოსკოვის „დინამომ“ მეოთხე ტურში დამარცხება განიცადა ხარკოვის „ავანგარდთან“ ანგარიშით 1 : 2.

კიშინიოვი. მოსკოვის ტორპედოელები კვლავ წარმატებით იბრძვიან. 26 აპრილს მათ კიშინიოვში დაამარცხეს ადგილობრივი „მოლდოვა“ 2 : 1.

რიგა. „ა“ კლასის ერთ-ერთმა დებიუტანტმა რიგის „დაუგავა-რეზ-ს“ გუნდმა თავის მოედანზე დაამარცხა მეორე ეშელონის წარმომადგენელი ტაშკენტის „პახტაკორი“ 4 : 0.

ერევანი. 26 აპრილს ადგილობრივი სპარტაკელები პასუხაგები ამოცანის წინაშე იდგნენ. ამ დღეს მათ შეხვედრა ჰქონდათ დონის როსტოვის სკა-ს გუნდთან. გამარჯვეს სპარტაკელებმა 3 : 0.

მეორე ქვეჯგუფი

მოსკოვი. გუშინ დედაქალაქის „დინამოს“ სტადიონზე გაიხსნა ფეხბურთის სეზონი. აქ საკავშირო პირველობის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი გუნდები ცსკა და „ლოკომოტივი“. არმიელმა ფეხბურთელებმა შეჯიბრება მაღალ დონეზე ჩაატარეს და გაიმარჯვეს ანგარიშით 5 : 1.

თბილისელი კალათბურთელები ვარშავაში

ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება კალათბურთში დასასრულს უახლოვდება.

გამოვლინდა პირველი ფინალისტი. ეს გუნდია რიგის არმიის სასპორტო კლუბის კალათბურთელთა კოლექტივი.

წარმატებით გამოდის აგრეთვე თბილისის „დინამოს“ გუნდი. როგორც ცნობილია, თბილისელებმა გაიმარჯვეს პირველ ნახევარფინალში ვარშავის „პოლონიასთან“ და მეორე შეხვედრის ჩასატარებლად პოლონეთში გაემგზავრნენ.

24 აპრილს დინამოელები ვარშავაში ჩავიდნენ. აქ მათ სპორტულმა სახოგადოებრიობამ გულთბილი შეხვედრა მოუწყო. მატჩი თბილისის „დინამოსა“ და ვარშავის „პოლონიას“ გუნდებს შორის გაიმართება 27 აპრილს. ბილეთები წინასწარ არის გაყიდული.

წყალგურთელთა შეჯიბრება

მოსკოვი. 25 აპრილი. (სპეც. კორ.). გუშინ შედგა პირველი წრის უკანასკნელი მატჩები წყალბურთში.

უკანასკნელ, მე-11 ტურში ყურადღების ცენტრში იდგა დედაქალაქის ორ მოწინავე კოლექტივის სსრ კავშირის ჩემპიონის „დინამოსა“ და სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელთა გუნდების მატჩი. გაიმარჯვეს დინამოელებმა ანგარიშით 6:5.

პირველი წრის უკანასკნელ ტურში თბილისის დინამოელები შეხვდნენ მოსკოვის „ტორპედოს“. დასაწყისში თბილისელთა მიერ გათამაშებული ლამაზი კომბინაცია გვახარიას ზუსტი ტყორცნით დაგოლით დამთავრდა. ამის შემდეგ ბრძოლის ერთ-ერთ მომენტში წყლიდან გაავლეს ჩხიკვაძე. დინამოელებს მთელი ტაიმის განმავლობაში თამაში რიცხობრივად მეტ მეტოქესთან უხდებოდათ, მაგრამ მათ სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოხერხეს საკუთარი კარის დაცვა.

პირველი ტაიმი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ 1:0.

შეჯიბრების მეორე ნახევრის დასაწყისში მასპინძლებმა შეძლეს ერთი ბურთი გატანა, მაგრამ მალე ჩიქვანაიამ და გვახარიამ 2 ბურთით უპასუხეს და დინამოელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1.

ამავე დღეს ცსკა-ს გუნდმა დაამარცხა მოსკოვის „შრომითი რეზერვების“ წყალბურთელები ანგარიშით 6:1.

ამრიგად, ამოიწურა პირველი წრის მატჩები. გათამაშების ლიდერად რჩება მოსკოვის „დინამოს“ ძლიერი კოლექტივი, რომელსაც 22 შესაძლებლიდან 18 ქულა აქვს. თვრამეტ-თვრამეტი ქულა თანმიმდევრულად მეორე და მესამე ადგილებზე არიან ცსკა-სა და თბილისის „დინამოს“ გუნდები. მეოთხე ადგილზე უჭირავთ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის წყალბურთელებს (17 ქულა), მეხუთე — ბაქოს გუნდს (14 ქულა).

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.